ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 2022 №172 (8950) ფასი: 80 თეთრი

თეა წულუკიანმა სასამართლო წააგო

გვ.5

„სააკაშვილი ხელისუფლების მძევალია“

„სააკაშვილს არ გაუშვებენ. სიმართლე გითხრათ, გაშვების მომხრე არც მე ვარ. ჩვენ ათასობით პატიმარი გვყავს და იმათ რას ვეუბნებით? რადგან სააკაშვილი არა ხარ, ამიტომ უნდა მოკვდე ციხეში?!“

პაატა ზაქარეიშვილი: „30 წლის განმავლობაში საქართველოს ასეთი უუნარო, უსუსური, არაფრის მკეთებელი ოპოზიცია არ ჰყოლია“

გვ.2

სააკაშვილის ადვოკატების მოთხოვნაა, სასჯელი ერთი წლით გადავადდეს

გვ.2

„ქართული ოცნება“ სახალხო დამცველის კანდიდატურას არ წარადგენს

გვ.3



გვ.2

ირაკლი ზარქუა: „სულ სალომე ხომ არ იქნება“

პუტინს ნიკოლოზ მეორის ბედს უწინასწარმეტყველებენ

კრემლი გაზის საკითხში სტრატეგიულად შეცდა

გვ.3

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრი: „მიხეილ გორბაჩოვი დამნაშავე იყო“

გვ.6

მსოფლიო ლიდერები მიხეილ გორბაჩოვის გარდაცვალებას ეხმაურებიან

ივანიშვილის ნაჩუქარი „ბლექ სი არენა“ ისევ ზარალზეა

გვ.4

მერია თბილისობაზე 3,050 მლნ ლარს დახარჯავს

2 მამუკა ხაზარაძე: „სასწრაფოდ შემოიღეთ 30-დღიანი სავიზო რეგულაცია“

5 18 წლამდე გოგონებს სუროგაციისთვის ზოგჯერ იძულებით იყენებდნენ — კვალი სტამბოლიდან საქართველომდე მოდის

7 დიდი ტურნირი თბილისში — ევროობასკეტი იწყება

6 პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა რუსი მოგზაურებისთვის თავიანთ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვას განიხილავენ

1993230720223

„სააკაშვილი ხელისუფლების მძევალია“

პაატა ზაქარეიშვილი: „30 წლის განმავლობაში საქართველოს ასეთი უუნარო, უსუსური, არაფრის მკეთებელი ოპოზიცია არ ჰყოლია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ხელისუფლება დასავლელი პარტნიორების კრიტიკას არ ეშვება და არეალსაც ზრდის. ახლა სრულიად „ოცნება“ ვენეციის კომისიის ლანძღვითაა დაკავებული. რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ხელისუფლების შიგნით, რას ცდილობენ?

– ამ ხელისუფლების მთავარი ამოცანა ძალაუფლების შენარჩუნებაა. ეს არ არის მარტო ტკბობა ძალაუფლებით. ეს არის ცხოვრება ძალაუფლებაში, ეს არის ბიზნესები, ეს არის ელიტური კორუფცია, ეს არის სრული უზრუნველყოფა იმ პირამიდის საყრდენებისა, რომელზეც დაფუძნებულია „ქართული ოცნების“ ძალაუფლება. ასე რომ, ეს არის ძალიან მკაფიო, ცალსახა მმართველობა. მსოფლიოში ეს არის ყველაზე სუსტი ფორმა. მას უფრო ხშირად ეძახიან ჰიბრიდულ რეჟიმს. ვითომ დემოკრატიის ნიშნებია, არჩევნები ტარდება, ვითომ პარლამენტია, ვითომ პრეზიდენტი, ვითომ პარლამენტი და ასე შემდეგ. სინამდვილეში კი მმართველობა არის ავტოკრატიული, ანუ მმართველობის ყველაზე სუსტი ფორმა, როცა ადამიანის ცხოვრებაში არ ერევიან პირდაპირ, არ არის ტოტალიტარიზმი, მაგრამ ხელისუფლებაშია ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში რჩება არა დემოკრატიული ინსტიტუტებით, არამედ მანიპულაციებით.

– ძალაუფლების ფლობის გარდა, სხვა არაფერი ადარდებთ?

– რა თქმა უნდა, არა! ძალაუფლების ფლობაა მათი მთავარი ამოცანა, ხოლო მეორე ამოცანაა, ვინაიდან მათ ძალაუფლებას ვერავინ შეუნარჩუნებს გარედან, საქართველო არ არის იმდენად ძლიერი სახელმწიფო, რომ ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდეს ძლიერი, არ აქვს ნავთობი და ასე შემდეგ, როგორც ძირითადად ოლიგარქიულ რეჟიმებს და ამ სიტუაციაში მათ გარედან მხარდაჭერა სჭირდებათ.

– მერე, ჰყავთ მხარდამჭერი?

– საქმეც ეგაა, რომ ამ მმართველობას მხარს ვერ დაუჭერს ვერც ვაშინგტონი, ვერც ბრიუსელი და მხარს დაუჭერს რუსეთი! ამიტომ პირველი ამოცანაა ძალაუფლების ფლობა და მეორე – შორს არ წავიდნენ რუსეთიდან. თუ ვინმეს შეუძლია, ეს ხელისუფლება ჩამოშალოს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი. არც ვაშინგტონი და არც ბრიუსელი არ წავლენ ხელისუფლების ჩამოშლაზე. ეს მათი მართვის სტილი არ არის. მათთვის დემოკრატიაა მთავარი.

– შენიშვნა შენიშვნაზე მოდის დასავლეთიდან, აკრიტიკებენ ხელისუფლებას, „ოცნება“ კი ყველასა და ყველაფერს იგნორირებას უწევს.

– დასავლეთიდან იმიტომ მოდის შენიშვნა, რომ მათ ჯერ კიდევ საქართველოს იმედი აქვთ. ეს დაახლოებით ისაა, როცა გინდა, გადაარჩინო ახლობელი, რომელიც არასწორ გზაზე დგას და მისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება. დასავლეთს

„სააკაშვილს არ გაუშვებენ. სიმართლე გითხრათ, გაშვების მომხრე არც მე ვარ. ჩვენ ათასობით პატიმარი გვყავს და იმათ რას ვეუბნებით? რადგან სააკაშვილი არა ხარ, ამიტომ უნდა მოკვდე ციხეში?!“

ენანება ის შრომა, რომელიც ამ ქვეყანაში ჩადო. ფინანსებზე აღარაფერს ვამბობ. კავკასიაში საქართველო იყო წამყვანი ლიდერი. ახლა სხვა ქვეყნებმა გაგვასწრეს. ამ ხელისუფლების მიზანია, რომ საქართველო მაქსიმალურად ჩაეხსნას დასავლეთს. დასავლეთი როდესაც გვაკრიტიკებს, სწორედ ამიტომაა ასეთი კონტრშეტევა.

– „ქართულ ოცნებას“ უნდა, ჩაეხსნას დასავლეთსო და რა გამოდის, მთლიანად რუსულ ორბიტაზე გადავდივართ?

– რა თქმა უნდა. რუსეთს შეუძლია ორი რამე – ჩამოგიშალოს ხელისუფლება, ეს კი დასავლეთს არ შეუძლია და რუსეთს შეუძლია, შეგინარჩუნოს ხელისუფლება. არც ეს შეუძლია დასავლეთს. დასავლეთს შეუძლია, დასავლურ ღირებულებებსა და დემოკრატიას შეუწყოს ხელი. შიდარესურსზე უნდა იყოს ყველაფერი დამოკიდებული, ხალხის სურვილზე. თუმცა ჩვენს ქვეყანაში სიღარიბე მეფობს და ეს ხელისუფლებას კიდევ მეტად უწყობს ხელს, შეინარჩუნოს ძალაუფლება. ღარიბი საზოგადოება ბევრად უფრო ადვილად სამართავია, ადვილად მოსასყიდია.

– სიღარიბე ახსენეთ და პრემიერ-მინისტრი თავს იწონებს, ისეთი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მსოფლიოს ვაოცებთო. ცინიკური არ არის ეს განცხადებები? ხალხს არსებობაც კი უჭირს.

– ნამდვილად ცინიკურია. ამას რომ ამბობს, მიაყოლოს ისიც, რამხელა ინფლაცია გვაქვს. ასევე იქვე მიამატოს ისიც, როგორ ნაწილდება ეს სიმდიდრე. ამ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით ხალხი ვერ ხეირობს! ამიტომ, უნდა ითქვას, საითკენ მიემართება ეს ფული, ვის ჯიბეებში ილექება! შესაძლოა, მართლაც იზრდება ეკონომიკა, იმიტომ, რომ შემოდის ვალუტა.

– ანუ რუსი ტურისტების ხარჯზე გაზრდილი ეკონომიკა გვაქვს?

– ნურც ამას გამოვრიცხავთ. ამაზე ეკონომისტებმა უნდა ილაპარაკონ. ფაქტია, რომ ინფლაცია საკმაოდ მაღალ ნიშნულზე გვაქვს. რადგან ლაპარაკობენ ეკონომიკურ პარამეტრებზე, ბარემ მიაყოლონ ორი პარამეტრიც. ესენია ინფლაცია და სიღარიბე. სწორედ სიღარიბეა ამ ხელისუფლების მამოძრავებელი ძალა. ისინი ასე უფრო მარტივად ყიდულობენ ღარიბ ადამიანებს. მეორე კი მუდმივად მთელი პრობლემების ოპოზიციისთვის გადაბრალებაა. ახლა კიდევ ერთი გამოუჩნდათ, ოპოზიციასთან ერთად, დასავლეთზეც მიდის გადაბრალება. ამიტომ მათი გზა მიდის რუსეთისკენ!

– ბატონო პაატა, ოპოზიცია ახსენეთ და ვისმენთ შეფასებებს, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია, დღეს რომ ჰყავს „ოცნების“ ხელისუფლებას, არცერთ ხელისუფლებას არ ჰყოლია არასდროსო. თქვენ თუ იზიარებთ ამ შეფასებას?

– სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას. 30 წლის განმავლობაში ვუყურებ საქართველოს პოლიტიკას და ასეთი უუნარო, უსუსური, არაფრის მკეთებელი, არაშემოქმედი, არაკრეატიული ოპოზიცია არ ჰყოლია საქართველოს არასდროს! ერთადერთი, რაც შეუძლიათ გააჟღერონ და მათი პირიდან ამოვიდეს – ეს არის ბოიკოტი ან ვადამდელი არჩევნები.

– აანონსებენ ცხელ შემოდგომას, გადატრიალებასა და საბოტაჟს.

– ეს ყველაფერი, პირდაპირ გეტყვით და, ძალიან სასაცილოა.

– რას ელით ასეთი ოპოზიციისგან?

– არაფერს არ ველი. ასეთი ოპოზიციის პირობებში „ქართული ოცნება“ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. ვადამდელი არჩევნები რომ აუტეხიათ, რა, რომ იყოს, გაიმარჯვებენ?! ჯობია, მომდევნო არჩევნებისთვის მოემზადონ, რადგან შესაძლოა უფრო ღრმა კრიზისში შევიდეს ქვეყანა. დაანებონ თავი ამ იდიოტობებს, ვადამდელ არჩევნებსა და ბოიკოტებს! გამოვიდნენ და შესთავაზონ საზოგადოებას ეკონომიკური აღმავლობისა და სიღარიბის დაძლევის გზები. კი ბატონო, მეც მაწუხებს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მართლაც მძევლად ჰყავს აყვანილი ხელისუფლებას, მაგრამ მარტო სააკაშვილზე ლაპარაკით ფონს ვერ გავა ოპოზიცია.

– სააკაშვილის საქმეში ამერიკელი ექსპერტები ჩაერთვნენ. ბევრი ფიქრობს, რომ „ოცნებას“ არ აწყობს სააკაშვილის გაშვება.

– გამორიცხულია, არ გაუშვებენ. სიმართლე გითხრათ, გაშვების მომხრე არც მე ვარ. ჩვენ ათასობით პატიმარი გვყავს და იმათ რას ვეუბნებით? რადგან სააკაშვილი არა ხარ, ამიტომ უნდა მოკვდე ციხეში?! აქ უნდა უმკურნალონ აუცილებლად, თუ საჭიროა, ჩართონ უცხოელი ექიმები, მაგრამ საქართველოში უმკურნალონ. მაშინ, შენ სახელმწიფო არა ხარ და ხარ ბოსელი, თუ პატიმრის მკურნალობა არ შეგიძლია.

სააკაშვილის ადვოკატების მოთხოვნაა, სასჯელი ერთი წლით გადავადდეს



ადვოკატები სააკაშვილის სასჯელის გადავადებას ერთი წლით ითხოვენ – სამართლებრივი კონსულტაციები დაწყებულია.

ადვოკატები მესამე პრეზიდენტის სასჯელის გადავადების საკითხზე რუსთავის ციხეში მსჯელობენ.

იქ შალვა ხაჭაპურიძე ნიკა გვარამიასთან შესახვედრად მივიდა.

ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ტექნიკური დეტალების შესათანხმებლად შედის ნიკა გვარამიასთან და ადვოკატები ერთობლივად გაივლიან რიგ საკითხებს.

გვარამია მესამე პრეზიდენტის ის ადვოკატია, რომელმაც სასჯელის გადავადებაზე მუშაობა ჯერ კიდევ თავისუფლებაზე ყოფნის დროს დაიწყო.

როგორ მოხვდა ქართველების საბუთები ოკუპანტების ხელში



ნადირობა ქართველ მებრძოლებზე ქართველების დახმარებით. რუსულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებულმა ბლოგერებმა შექმნეს საიტი, რომელზეც ქართველი სამხედროების მონაცემთა ბაზაა განთავსებული.

სრული დოსიე 37 ქართველზე, რომლებიც რუსების წინააღმდეგ იბრძვიან და, რაც მთავარია, ამ მონაცემების სიზუსტე და კონფიდენციალური ხასიათი აჩენს განცდას, რომ ინფორმაციამ საქართველოდან გაჟონა – რამდენიმე მებრძოლის შესახებ რუსებმა იციან ისეთი დეტალები, რომლებიც მხოლოდ ქართულ სახელმწიფო უწყებებს უნდა სცოდნოდათ.

და კიდევ ერთი დეტალი – რუსები ქართველებზე ნადირობის გასამართლებლად „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების ცნობილ ფრაზებს იყენებენ.

მანამდე „მთავარმა არხმა“ 8 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველი სამხედროების საბუთები ოკუპანტების ხელშია. მაშინ მებრძოლი მიხეილ ქამხაძე ვარაუდობდა, რომ თავდაცვამ მისი საქმე გაყიდა. მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ კი საკითხთან დაკავშირებით თქვა მხოლოდ ის, რომ „ეს არის ორგანიზებული პროვოკაცია სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

ირაკლი ზარქუა: „სულ სალომე ხომ არ იქნება“

„ოცნების“ დეპუტატი ზარქუა თვლის, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი მთავრობამ უკან არ უნდა გამოიწვიოს.

– ხვალ, ზეგ (სხვა) პრეზიდენტი ხომ გვეყოლება? სულ სალომე ხომ არ იქნება? ინტერპრეტაციები არცერთ პოლიტიკურ ჯგუფს ან პრეზიდენტს არ უნდა გაუჩნდეს მომავალში. კონსტიტუციაში რაც შავით თეთრზე წერია, ის უნდა წავიკითხოთ ყველამ ერთნაირად, სწორად. მგონია, რომ ბოლომდე უნდა მივიდეს საქმე და დადგინდეს სწორი ინტერპრეტაცია, – ამბობს ზარქუა

შეგახსენებთ, 7 ივნისს „ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილმა დავით ბაქრაძის დანიშვნაზე გაეროში, ხოლო კახა იმნაძის დანიშვნაზე კანადაში უარი თქვა, რის გამოც „ოცნების“ ხელისუფლებამ ზურაბიშვილის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ზურაბიშვილმა ორივე ელჩის დანიშვნას ხელი მოაწერა, იმის მიუხედავად, რომ „მიზანშეწონილად არ თვლიდა“.

მამუკა ხაზარაძე: „სასწრაფოდ შემოიღეთ 30-დღიანი სავიზო რეგულაცია“

სასწრაფოდ შემოიღეთ 30-დღიანი სავიზო რეგულაცია რუსეთთან, – ამის შესახებ პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე სოციალურ ქსელში წერს.

მამუკა ხაზარაძის შეფასებით, პუტინის ომზე მისი მოქალაქეებიც უნდა იზიარებდნენ პასუხისმგებლობას.

– ევროკავშირმა რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო!

საქართველოს რუსეთთან 365-დღიანი უვიზო რეჟიმი აქვს!

სასწრაფოდ შემოიღეთ 30-დღიანი სავიზო რეგულაცია. პუტინის ომზე მისი მოქალაქეებიც უნდა იზიარებდნენ პასუხისმგებლობას!

საქართველოს ეროვნული ინტერესები და ქვეყნის საზღვრები დღეს, როგორც არასდროს, ისე უნდა იყოს დაცული! – წერს მამუკა ხაზარაძე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პუტინს ნიკოლოზ მეორის ბედს უწინასწარმეტყველებენ

კრემლი გაზის საკითხში სტრატეგიულად შეცდა

მარიამ მჭედლიშვილი

აგრესორი რუსეთი უკრაინაში აგრძელებს სასტიკ, ამასთან, რუსეთისთვის ბევრი თვალსაზრისით წარუმატებელ ომს. ამ დროს პუტინის მიმართ რუსეთის მოსახლეობის მხარდაჭერა გაიზარდა. დამოუკიდებელმა სოციოლოგებმა კარგა ხანია დაასკვნეს, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა ადვილად ეგება კრემლის საინფორმაციო ანკესებსა და პუტინის პროპაგანდას.

პუტინის რეიტინგი იზრდება ომების დროს. ასე იყო 2008 წელსაც, როცა რუსეთი საქართველოში შემოიჭრა.

საინტერესო იქნებოდა რუსეთის მიერ ტერიტორიადარღვეული საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის პოზიციის ახსნა, რომელიც უკრაინაში ომის ფონზეც თავდავიწყებული პუტინისტია. საყურადღებოა პარალელი საქართველოსა და რუსეთს შორის ძლიერი ანტიდასავლური ტენდენციების გაღვივების მხრივ.

კრემლის ოპონენტები აცხადებენ, რომ პუტინის მაღალი რეიტინგი დროებითია. კრემლს დაქვემდებარებული სოციოლოგიური სამსახურები იმასაც ირწმუნებიან, რომ რუსეთიდან ომის დაწყების შემდეგ მიგრაცია შემცირებულია.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გენდირექტორი **ვალერი ფიოდოროვი** რუსეთის მედიას გამოკითხვის შედეგებზე ესაუბრა.

– ცენტრის მონაცემებით, რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ნდობამ სარეკორდო ციფრს – 80%-ს მიაღწია. რასთან არის ეს დაკავშირებული?

– 1999 წლიდან ეს არის მესამე პიკი. რუსეთის მოსახლეობაში ვლადიმირ პუტინი აღიქმება სტრატეგად და ქვეყნის დამცველად. 2008 წლის ომი კავკასიაში, 2014 წლის „რუსული გაზაფხული“ და ახლანდელი სპეცოპერაცია ის პერიოდებია, პრეზიდენტისადმი ნდობისა და მხარდაჭერის რეიტინგები მკვეთრად იზრდება და 80%-ს აჭარბებს.

– ეკონომიკური ვარდნა არ აშინებთ რუსეთის მოქალაქეებს?

– აშინებთ, რასაკვირველია. ახლა უფრო ნაკლებად, ვიდრე ნახევარი წლის წინ. მარტში ძალიან შეგვეშინდა და დავიძაბეთ. პანიკის ელემენტებიც კი იყო. შემდეგ არაფერიც არ მოხდა. რუბლი არ ჩამოშლილა. გლობალური იზოლაცია არ შედგა.

– იცვლება თუ არა რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება უკრაინის, უკრაინელების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართ?

– 2014 წლის შემდეგ ყველაზე მეგობრულ სახელმწიფოებში ტრადიციულად ლიდერობენ ჩინეთი და ბელარუსი. ამჟამად მათ დაემატა ინდოეთი. ყველაზე არამეგობრული ქვეყნების რეიტინგში ლიდერობენ აშშ და დიდი ბრიტანეთი. ახლა მათ შეუერთდა გერმანია. საკმაოდ საინტერესოა უკრაინასთან დაკავშირებული სიტუაცია. უკრაინა შედის არამეგობარი ქვეყნების სიაში. ამასთან, იმათი წილი, ვინც ასე თვლის, შემცირებულია ორი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ჩვენ გვიპირისპირდება არა იმდენად უკრაინა, რამდენადაც დასავლეთი. უკრაინელების მიმართ სიძულვილი არ არსებობს. ჩვენ მათ მსხვერპლად აღვიქვამთ.

– ქვეყნის დატოვების სურვილი რამდენმა მოქალაქემ გამოთქვა?

– მარტში იმათი წილი, ვინც აპირებს საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლას, 10%-მდე დაეცა. შარშან ზაფხულში ეს მაჩვენებელი 16%-ს შეადგენდა. ემიგრაციის ძირითადი მიმართულება ყოველთვის დასავლეთი იყო, მაგრამ ამ დასავლეთმა „გაგვაუქმა“, სანქციები დაგვიწესა მთელ ერს. ახალი ემიგრაცია რუსეთიდან – ეს არ არის მასობრივი რეაქცია. ეს არის მცირე კოსმოპოლიტური, მდიდარი ფენის რეაქცია.

გამოკითხვის შედეგებსა და სხვა საკითხებს რუსულენოვან რადიო „თავისუფლებასთან“ აფასებს პოლიტოლოგი **დიმიტრი ორეშკინი**.

– ვნახოთ გამოკითხვა, რას ფიქრობენ მოსკოვში მრავალფეროვანი სანქციების გაძლიერებაზე. რას იტყვით?

– რუსეთის მოქალაქეების ქვეყნებში შეშვების შეზღუდვას შევეხოთ. რუსეთში უცხოეთის პასპორტი აქვს მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს. აქედან საზღვარგარეთ ყველა არ დადის. ვიზები ყველას არ აქვს. ვისაც უცხოეთში წასვლა აინტერესებს, ისინი ძირითადად კონცენტრირებული არიან მსხვილ ქალაქებში. მოსახლეობის 80%-ს ეს საერთოდ არ აინტერესებს. ამ ადამიანებისთვის უცხოეთი არის ის, რასაც ტელევიზორში იტყვიან.

– ამ ხალხისთვის უცხოეთი გახდა სანქციები, რომლებიც აუარესებს მდგომარეობას?

– პრობლემა ეხება მოსახლეობის 10%-ს, შესაძლოა, 15%-ს. ეს პუტინისთვის კატასტროფა არ არის. ამ ტალღაზე მეტს „მოიჭრის“ ბატონი ლუკაშენკო. ბელარუსში გაჩნდა ე.წ. ბარათების ტურიზმი. რუსეთის ფულიანი მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთში ვერ აგზავნიან ფულს და იქიდანაც ვერ იღებენ ფულად გზავნილებს, ხსნიან ანგარიშებს ბელარუსში, იქ იხდიან შესაბამის გადასახადებს, ანუ საკუთარ პრობლემებს ბელარუსის მეშვეობით აგვარებენ. იგივე ხდება ყაზახეთში, უზბეკეთში, სომხეთში. ეს ყველაფერი ართულებს იმ ადამიანების ცხოვრებას, რომლებიც ორიენტირებული არიან ევროპული ფასეულობების სისტემაზე. ეს იდეა ნაკლებად პროდუქტიულია იმისთვის, რომ პუტინს „კუდზე“ ფეხი დააბიჯო.

– პუტინს გათვლა გაზის იარაღზე აქვს?

– როცა პუტინი ამ ისტორიას იწყებდა, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ დასავლეთი მხდალი, ბურჟუაზიული და კორუმპირებულია, რომ გაზსა და ნავთობთან დაკავშირებული კომფორტის სანაცვლოდ ყველაფერს დათანხმდება, რომ მეგობარი შრიოდერი დაეხმარება, რომ გერმანია გასცემს ნებართვას „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის გაზსადენის ასამშავებლად. ეს არის სტრატეგიული შეცდომა. ბაზარი გამყიდველის კი არა, მყიდველისაა. ევროპა გაზს სხვისგან, უფრო ძვირად იყიდის. ევროპა შეიძენს გათხევადებულ გაზს აშშ-დან, ნორვეგიიდან ან საუდის არაბეთიდან. ნავთობს ირანიდან შეიტანს. პანიკა ჩაივლის და გაზი და ნავთობი პუტინის ხელში ძალას დაკარგავს.

რაც უფრო მეტად გაიწელება ეს ე.წ. სპეცოპერაცია უკრაინაში, მით უარეს მდგომარეობაში ჩავარდება რუსეთის ეკონომიკა. ადამიანები დაიწყებენ პუტინისთვის ისეთივე ხმამაღალი პრეტენზიების წაყენებას, როგორ ხმამაღალ აღფრთოვანებასაც გამოთქვამდნენ მის მიმართ ერთი წლის წინ.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს პირველი მსოფლიო ომის პერიოდს. ომის პირველ თვეებში რუსეთის „მეფე-მამას“ ხელისგულზე ატარებდნენ, შემდეგ კი ვიცით, რა მოხდა.

„ქართული ოცნება“ სახალხო დამცველის კანდიდატურას არ წარადგენს

საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის კანდიდატურას არ წარადგენს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა, ომბუდსმენის წარდგენის საკითხს მთლიანად მიანდობენ ოპოზიციურ სუბიექტებსა და სამოქალაქო სექტორს, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პროცესის ხელოვნურ დაბლოკვას, საბოტაჟს ოპოზიციური სუბიექტების მხრიდან კანდიდატების შეგნებულად არწარდგენის გზით.

– საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელი რომ იყოს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური სუბიექტები პირს შეკრავენ და არცერთ კანდიდატურას არ წარადგენენ, იმიტომ, რომ პროცესი დაიბლოკოს, რეკომენდაციების მე-12 პუნქტი არ შესრულდეს და ვერ მოხდეს არჩევა, ანუ ეს თუ მოხდება ხელოვნურად, მხოლოდ ამ შემთხვევაში დავიტოვებთ წარდგენის უფლებას. სხვა შემთხვევაში ჩვენ ამ პროცესში კანდიდატის წარდგენის გზით არ ჩავერთვებით.

ოპოზიციასთან და სამოქალაქო სექტორთან დისკუსიიდან ჩვენ ვაპირებდით, რომ ამ ცვლილებებთან ერთად დღესვე დაგვერეგისტრირებინა მუდმივი ნორმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ომბუდსმენის არჩევის კენჭისყრის ღიაობასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენ დაგვასწრო ლევან იოსელიანმა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ფრაქცია მხარს დაუჭერს ამ გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, დღეს სამოქალაქო სექტორთან იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ, ზოგადად, როდესაც თანამდებობებზე აირჩევიან კონკრეტული ინსტიტუტის ხელმძღვანელები და სხვადასხვა თანამდებობის პირები, იქაც რამდენიმე შემთხვევაში, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირებით და ა.შ. არის ფარული კენჭისყრა. ამაზე ჩვენ დღეს გადაწყვეტილება არ მიგვიღია. გადაწყვეტილება მივიღეთ მხოლოდ იმაზე, რომ მხარი დავუჭიროთ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ღიაობას და ასევე ომბუდსმენის არჩევის საკითხთან დაკავშირებით. სხვა დანარჩენ თანამდებობის პირებთან მიმართებით დამატებით ვიმსჯელებთ და, თუ იქნება არგუმენტები წარმოდგენილი, შესაძლოა, კენჭისყრის ღიაობაზე ვიმსჯელოთ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მამუკა მდინარაძე: „ასეთი მოქმედებები აწყობს ნაცმოძრაობასა და მთლიანად მის კლასტერს“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს ეხმაურება, რომელშიც ჩანს, რომ მოქალაქემ ქუთაისში რუსეთის დროშა დაკიდა.

მდინარაძე მომხდარს „ნაცმოძრაობისა და მისი კლასტერის“ პროვოკაციას უწოდებს და ამბობს, რომ ამას საზოგადოება არ უნდა წამოეგოს.

– მოდი, ერთ რამეზე დაფიქრდით ყველა, საზოგადოებაც და თქვენც, ჩემო ძვირფასო ჟურნალისტებო, ვის აწყობს ასეთი მოქმედებები და აქედან გამოვიდეთ. ასეთი მოქმედებები დღეს პიარულად აწყობს ერთადერთს – ნაცმოძრაობასა და მთლიანად მის კლასტერს და ისინი და მათი ტელევიზიები აგებენ ხოლმე ამაზე შემდეგ პიარს.

გაურკვეველი ადამიანი დარბის, ხან მანქანაზე აკრავს ამ რაღაც დროშებს, ხან პარკში შევარდა, იქ გააკრა და მერე ჩამოუხსნეს. მერე 5 წუთი სადღაც დროშა გამოჩნდება, მაინცდამაინც იმ 5 წუთში თქვენი ტელევიზიები და ვიღაც სააგენტოები ჩნდებიან, იღებენ ფოტოებსა და ვიდეოებს და შემდეგ ხდება უბედურება. ეს აწყობს მხოლოდ ნაცმოძრაობას. ასეთ პროვოკატორებს პასუხებიც გაეცემა და ყველას ვაფრთხილებ და ვთხოვ, ასეთ პროვოკაციებზე ნუ წამოეგებიან. ყოველთვის გამოჩნდებიან პროვოკატორი ადამიანები, რომლებიც ნაცებისა და რუსების წისქვილზე დაასხამენ წყალს და ხალხი ამაზე არ უნდა წამოეგოს, – თქვა მამუკა მდინარაძემ.

ცნობისთვის, ვიდეო სოციალურ ქსელში გუშინ საღამოს გავრცელდა. მომხდარს გამოეხმაურა ქუთაისის მერია. უწყება განცხადებაში აღნიშნავს, რომ მოქალაქე, რომელმაც ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული დროშა დაკიდა, უკვე იდენტიფიცირებულია და მის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

იგორ დოლგოვმა გამოსამშვიდობებელი წერილი გაავრცელა

უკრაინის ყოფილმა ელჩმა საქართველოში იგორ დოლგოვმა გამოსამშვიდობებელი წერილი გაავრცელა, სადაც ის აღნიშნავს, რომ მისი მუშაობის პერიოდში თბილისისა და კიევის ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე ავიდა. მისივე თქმით, საქართველომ და უკრაინამ ერთად გამოიარეს პანდემიის მძიმე პერიოდი და შეეცადნენ, შეენარჩუნებინათ დადებითი დინამიკა ვაჭრობის მიმართულებით.

ამასთან, ყოფილი ელჩი აცხადებს, რომ ომმა ყველაფერი შეცვალა და 24 თებერვლის შემდეგ ყველა შეიცვალა.

„პატივცემულო თანამემამულენო, პატივცემულო საქართველოს მოქალაქეებო, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს თბილისიდან ვარშავაში მივფრინავ, შემდეგ კი – კიევში.

მე და ჩემი მეუღლე საქართველოში 2017 წელს ჩამოვედით. ახლა მეჩვენება, რომ ეს სხვა ცხოვრებაში იყო. ჩვენ ერთად ავიყვანეთ უკრაინულ-ქართული ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე, ერთად გამოვიარეთ პანდემიის მძიმე წლები, ვცდილობდით, არ დაგვეკარგა დინამიკა როგორც ვაჭრობაში, ასევე კონტაქტებში.

ომმა ყველაფერი შეცვალა. მიმდინარე წლის 24 თებერვლის შემდეგ ყველა შევიცვალეთ. და ჩვენ მადლობელი ვართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც ომის პირველივე დღეებიდან ვიგრძენით, ჰუმანიტარული დახმარებისთვის, იმისთვის, რომ საქართველომ და ქართველებმა თავიანთი კარი და გული გაუხსნეს ომსა და ოკუპაციას გამოქცეულ უკრაინელებს.

უკრაინას მხარს უჭერს მსოფლიო, უკრაინა იღებს უპრეცედენტო დახმარებას, პუტინის რუსეთის ირგვლივ იზოლაციის წრე იკუმშება. ჩვენ ვიცით და ყოველთვის გვემახსოვრება, რომ დღეს ყველაფერი ჯარზე, უკრაინის შეიარაღებულ ძალებზეა დამოკიდებული და არასოდეს დაგვავიწყდება, რომ უკრაინელ მცველებთან ერთად დგანან ქართველები და ისინი სიცოცხლეს წირავენ ჩვენი და თქვენი თავისუფლებისთვის. მარადიული ხსოვნა გმირებს!

მადლობა ყველას, ვისთანაც მქონდა საშუალება, მემუშავა საქართველოში ამ წლების განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ორი მოძმე ერი ყველაფერს გააკეთებს უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გასაძლიერებლად.

დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს!“ – წერს დოლგოვი.

რა ქონებას ფლობს გაეროში საქართველოს ელჩად დანიშნული დავით ბაქრაძე

გაეროში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად დავით ბაქრაძის დანიშვნას პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა ქონებას ფლობს დავით ბაქრაძე. 2022 წლის 18 აპრილს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, მის საკუთრებაშია მხოლოდ ფერწერული ტილო, რომლის ღირებულება 9.000 აშშ დოლარს შეადგენს.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, მის მეუღლეს ეკუთვნის, 1.548 კვ.მ მიწის ნაკვეთის 25%-იანი წილი (მემკვიდრეობა), ასევე, 125,7 კვ.მ ბინა თბილისში, რომელიც 2018 წელს 110.000 აშშ დოლარად შეიძინა და ავტოფარეხი. მისი ღირებულება 12.000 აშშ დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის შევსების მომენტში, დავით ბაქრაძე ფლობდა: „საქართველოს ბანკის“ სამომხმარებლოზე – 95.359 აშშ დოლარს, ციტი-ის სახელფასოზე – 7.341 აშშ დოლარი, ხოლო დანაზოგის სახით – 15.600 აშშ დოლარს.

დოკუმენტის მიხედვით, დავით ბაქრაძეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე, ხელფასის სახით, 2021 წელს 68.503 აშშ დოლარი აქვს აღებული.

ცნობისთვის, დავით ბაქრაძე წლების განმავლობაში აშშ-ში საქართველოს ელჩის თანამდებობას იკავებდა. საქართველოს პრეზიდენტმა მის გაეროში ელჩად დანიშვნაზე წარდგინება 15 ივლისს მიიღო, თუმცა, ზურაბიშვილი ხელს არ აწერდა. როგორც პრეზიდენტმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ბაქრაძე „5 წელი იყო ელჩი და არაფერი გაუკეთებია“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მმართველმა გუნდმა პრეზიდენტს ელჩების დანიშვნაზე უარის თქმის გამო საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლა.

ივანიშვილის ნაჩუქარი „ბლექ სი არენა“ ისევ ზარალზეა

ბიძინა ივანიშვილის მიერ სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი „ბლექ სი არენა“ 2021 წელსაც ზარალზე გავიდა. ამის შესახებ საკონცერტო დარბაზის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა.

უფრო კონკრეტულად კი, როგორც ანგარიშგებიდან ირკვევა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბლექსის“ წლის ზარალმა 5.019 მლნ ლარი შეადგინა (2021 წელს 4,573 მლნ ლარი) ამასთან, დოკუმენტის თანახმად, საწარმოს შემოსავალმა კომერციული საქმიანობებიდან – 131 ათასი ლარი; საოპერაციო ხარჯებმა კი 5,222 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ამისა, როგორც ანგარიშგებაშია აღნიშნული, „ბლექსის“ სახელმწიფო სუბსიდიებიდან შემოსულობებმა 2021 წელს 4,350 მლნ ლარი შეადგინა, პანდემიურ 2020 წელს – 4 მლნ ლარი.

ამასთან, კომპანიამ 2021 წელს შრომის ანაზღაურებაზე 2,401 მლნ ლარი დახარჯა, კომუნალურმა ხარჯებმა 604 ათასი ლარი შეადგინა, არტისტების და სხვა საკონცერტო მომსახურების ხარჯებმა – 205 ათასი ლარი.

„შემოსავლის მკვეთრი შემცირება 2020 და 2021 წლებში სრულად გამოიწვია კოვიდპანდემიამ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დაწესებული შეზღუდვები გამო კომპანიას მოუწია დაგეგმილი კონცერტების გაუქმება“, – აღნიშნულია ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბლექ სის“ მთლიანი აქტივები შეადგენს 73,813 მლნ ლარს, მთლიანი კაპიტალი კი 70,688 მლნ ლარს.

შეგახსენებთ, რომ შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“ ოზურგეთის რაიონის, სოფელ ნატანებში (შეკვეთილი), 2016 წლის 15 ივლისს დაფუძნდა. ის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზია საქართველოში და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება კულტურის, ხელოვნებისა და გართობის ინდუსტრიის სფეროში საქმიანობაა.

ცნობისთვის, დარბაზის მშენებლობა 2008 წელს ფონდ „ქართუს“ ინიციატივით დაიწყო და მასში ფონდმა დაახლოებით, 115 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მშენებლობის დასრულების შემდეგ კი, 2016 წლის 10 ივლისს არენა ფონდმა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. მოგვიანებით კი „ბლექ სი არენა“ მთავრობის გადაწყვეტილებით, მართვის უფლებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა. კომპანიის დირექტორია ტარიელ ხარჩილავა.

სებ-მა აგვისტოში შესყიდული დოლარის ნახევარზე მეტი აგვისტოშივე გაყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის აგვისტოში სავალუტო აუქციონებზე შესყიდული დოლარის ნახევარზე მეტი აგვისტოში ისევ გაყიდა. მორიგი სავალუტო აუქციონი გუშინ გამართა და ბაზარს 32,305 მლნ დოლარი მიაწოდა. არადა, სულ რაღაც 20 დღის წინ იმავე აუქციონით ეროვნულმა 40 მლნ დოლარი ამოიღო.

სებ-ის სავალუტო ინტერვენციები, ცხადია, ეროვნული ვალუტის გამყარება/გაუფასურების პარალელურად მიმდინარეობდა. როგორ წესი, სავალუტო აუქციონი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტას ყიდის ან ყიდულობს. სებ-ი უცხოურ ვალუტას იმ შემთხვევაში ყიდულობს, როდესაც ბაზარზე ვალუტის კურსი სწრაფად მერყეობს. თუ კურსი სწრაფად უფასურდება, ამ დროს ბანკი სავალუტო რეზერვებს ყიდის, სწრაფი გამყარების პირობებში კი ყიდულობს.

აგვისტოს დასაწყისში, როდესაც ლარი მყარდებოდა, სებ-მა ბაზრიდან 70 მლნ დოლარი ამოიღო. სავალუტო აუქციონები 1-ელ, 5 და 10 აგვისტოს გაიმართა. პირველ ჯერზე ეროვნულმა ბანკმა 10 მლნ დოლარი იყიდა, მეორედ – 20 მლნ დოლარი, მესამედ, 10 აგვისტოს კი ბაზრიდან 40 მლნ დოლარი ამოიღო.

თუმცა 17 აგვისტოს, როდესაც ლარმა გაუფასურება დაიწყო, სებ-ს ნაყიდი დოლარის კვლავ გაყიდვა მოუწია. ამ დროს ეროვნულმა ბანკმა ბაზარს 8,305 მლნ დოლარი მიაწოდა, დღეს კი 32,305 მლნ დოლარი. საბოლოო ჯამში, 2 კვირაში სებ-მა 40,610 მლნ დოლარი გაყიდა. შედეგად გამოდის, რომ ერთ თვეში სებ-ს ბაზრიდან ამოღებული დოლარის 58% ისევ ბაზარს დაუბრუნა.

7 თვეში საქართველოს ეკონომიკა 10,3%-ით გაიზარდა

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2022 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი 10.3 პროცენტით განისაზღვრა.

2022 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სამთომოპოვებითი მრეწველობა, ვაჭრობა.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში.

ამასთან, საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის ივლისში ქვეყანაში 5 681 ახალი საწარმო დარეგისტრირდა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვამ 2022 წლის ივლისში 11,453 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შეფარებით 21,9%-ით მეტია.

ხანძარი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე კორპუსის აივანზე გაჩნდა

გაბრიელ სალოსის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის აივანზე ცეცხლი გაჩნდა.

როგორც „პრაიმტაიმს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, ცეცხლი მალევე იქნა ლოკალიზებული.

არსებული ინფორმაციით, დაშავებული არავინ არ არის.

მერია თბილისობაზე 3,050 მლნ ლარს დახარჯავს

თბილისის მერია 2022 წლის თბილისობაზე 3.050.000 ლარის დახარჯვას გეგმავს. სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, თბილისობა 1-ელ და 2 ოქტომბერს გაიმართება.

– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავად და დედაქალაქში საზეიმო განწყობის შესაქმნელად სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს, რომლებიც საკმაოდ მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება. 2022 წლის 1 და 2 ოქტომბერს, განახლებულ ორბელიანის მოედანზე, გუდიაშვილის მოედანზე, ლეღვთახევში და რიყის პარკში, სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში, სხვადასხვა სახის აქტივობები, ღონისძიებები და კონცერტები გაიმართება, რომლებიც ყველა ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებითაა დაგეგმილი.

ლოკაციებზე განთავსდება მრავალფეროვანი დეკორაციები და ინსტალაციები: თბილისის დამეგობრებული და პარტნიორი ქალაქების პავილიონები, სტენდი „თბილისის განვითარების ისტორია„, სცენის დეკორაციები, მოცულობითი თაღი, მოცულობითი ლოგო – „თბილისობა 2022“, ინსტალაცია – „საპატიო თბილისელები“, მოსასვენებელი სივრცეები, კაფე „ქიმერიონი“, ინსტალაცია – „მთაწმინდის მთვარე“, ინსტალაცია – „მოცულობითი გაზეთი“ და სხვა. ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა „თბილისური უბანი ათონელზე“, რომელიც ულამაზესი ყვავილებითა და შემოდგომის ნობათით განსაკუთრებულ განწყობას შეუქმნის იქ მისულ სტუმრებს.

რიყის პარკში გასტრონომიისა და ტკბილეულის ფესტივალი გაიმართება. წარმოდგენილი იქნება საბავშვო გასართობ-შემეცნებითი სივრცეები, ღია კინოთეატრი კულტურული და სპორტული აქტივობები, თემატური ინსტალაციები. განთავსდება დეკორირებული სცენა, რომელზეც ორი დღის განმავლობაში საბავშვო ანსამბლების და ბენდების კონცერტები ჩატარდება.

სახალხო დღესასწაულის ლოკაციად, წელს პირველად იქნება გამოყენებული გუდიაშვილის მოედანი, სკვერის შუაგულში განთავსდება ღია – „თბილისური კაფე“, ორი დღის განმავლობაში ცნობილი მზარეულები საავტორო კერძებსა და დესერტებს შესთავაზებენ ლოკაციაზე მისულ სტუმრებს, წარმოდგენილი იქნება მუსიკალური პროგრამა, განთავსდება სხვადასხვა ტიპის ინსტალაციები.

ლეღვთახევის ტერიტორია მიეძღვნება ქალაქ თბილისის მეხოტბეებს (პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს), ლოკაციაზე მისულ სტუმრებს დახვდებათ თბილისის მეხოტბეების მიმართ მიძღვნილი ინსტალაციები, დეკორაციებით გაფორმებული ხეობა, მსახიობების მიერ შესრულებული პერფორმანსები და სხვა.

1 ოქტომბერს თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება.

„თბილისობა 2022“ 2 ოქტომბერს ევროპის მოედანზე თემატურად დეკორირებულ სცენაზე საზეიმო კონცერტით დასრულდება“, – აღნიშნულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის გლობალური ბაზარი 2027 წლისთვის 63%-ით გაიზრდება

ამერიკული კომპანია Global Market Insights Inc.-ის ანგარიშის თანახმად, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ბაზარი 2027 წლისთვის, სავარაუდოდ, 467 მლრდ დოლარს გადააჭარბებს. ეს 63%-ით მეტია 2020 წლის მონაცემებთან შედარებით.

გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვები მსოფლიოს ყველა რეგიონში გაიზრდება. ჯანსაღი, მზა საკვები, როგორიცაა წინასწარ შეფუთული სალათები ან გაყინული ხილი და ბოსტნეული, კვლავაც მაღალი მოთხოვნით სარგებლობს ჩრდილოეთ ამერიკელ მომხმარებლებში.

მოსალოდნელია, რომ ყველაზე ძლიერი ზრდა იქნება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც მსყიდველობითუნარიანობა მკვეთრად იზრდება, ყალიბდება სწრაფი ურბანიზაცია და იცვლება კვების ჩვევები. ყველა ეს ფაქტორი ხელს შეუწყობს გადამუშავებულ ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნის ზრდას. შესაბამისად, მათი გაყიდვებიც გაიზრდება.

ქვეყნები, სადაც სანელებლებს ვყიდით



წელს, 7 თვეში, საქართველოდან 3,463 ტონა (7,594 მლნ აშშ დოლარი) კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი და სხვა სანელებლები გავიდა. ეს მცირედით მეტია, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობაზე. გასული წლის იანვარ-ივლისში ქვეყნიდან 3,426 ტონა (7,426 მლნ აშშ დოლარი) სანელებლები გავიდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, სად ვყიდით პროდუქტს.

ტოპ-10 ქვეყანა, სადაც წელს იანვარ-ივლისში საქართველოდან სანელებლების ექსპორტი განხორციელდა:

ჩინეთი – 1759 ტონა (3,738 მლნ აშშ დოლარი); რუსეთი – 957.9 ტონა (2,526 მლნ აშშ დოლარი); უკრაინა – 388.2 ტონა (709.2 ათასი აშშ დოლარი); უზბეკეთი – 159.9 ტონა (105.4 ათასი აშშ დოლარი); თურქეთი – 60.2 ტონა (110.9 ათასი აშშ დოლარი); სომხეთი – 38 ტონა (77.5 ათასი აშშ დოლარი); ყაზახეთი – 33.8 ტონა (60.3 ათასი აშშ დოლარი); ნიგერია – 28 ტონა (66 ათასი აშშ დოლარი); აშშ – 21.7 ტონა (106.3 ათასი აშშ დოლარი); თურქმენეთი – 20.1 ტონა (21.7 ათასი აშშ დოლარი).

სასამართლომ ძალოვანი 10-ათასიანი გირაოთი გაათავისუფლა

ბათუმში დაკავებული პოლიციელი დავით შათირიშვილი სასამართლომ 10 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მას ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ის დღეს დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის დააკავეს. საუბარია 31 ივლისს ბათუმში მომხდარ ფაქტზე.

უწყების ცნობით, პატრულ– ინსპექტორმა დაკავებული პირი განათავსა საპატრულო პოლიციის ავტომანქანის უკანა სალონში და თავად დაუჯდა მარჯვენა მხრიდან. დაკავებული პირის წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით, პატრულ-ინსპექტორმა მას სხეულის სხვადასხვა არეში ხელების დარტყმითა და ხელბორკილის თავში ჩარტყმით ფიზიკური დაზიანება მიაყენა.

პროკურატურა მოსამართლის გადაწყვეტილებას გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით სააპელაციო წესით გასაჩივრებს.

რაც შეეხება მეორე დაკავებულ პოლიციელს – გამოძიების ცნობით, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა 15 იანვარს, სამმართველოს შენობის ერთ-ერთ ოთახში, დაკავებულ პირს სახეში ხელი დაარტყა.

პროკურატურა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

18 წლამდე გოგონებს სუროგაციისთვის ზოგჯერ იძულებით იყენებდნენ — კვალი სტამბოლიდან საქართველომდე მოდის

სკანდალი, რომლის კვალი სტამბოლიდან საქართველოში მიდის – ამ სახელწოდებით სტატიები თურქულ მედიაში გამოჩნდა. წამყვანი გამოცემები წერენ, რომ 18 წლამდე ასაკის გოგონებს, რიგ შემთხვევაში იძულებით, რიგ შემთხვევაში კი მატერიალური დაინტერესების სანაცვლოდ არალეგალურ საქმიანობაში ჩართვაზე ითანხმებდნენ.

საუბარია სუროგაციის გზით არასრულწლოვნების განაყოფიერებაზე, რასაც წინ უძღვის მათი სპეციალური მომზადება – პრეპარატების მიღება და კვერცხუჯრედების ხელოვნური მომწიფება.

ირკვევა, რომ მოზარდი გოგონები ინვიტრო განაყოფიერების მიზნით საქართველოსა და კვიპროსში გადაჰყავდათ, კვალის წაშლის მიზნით კი მათ ყალბ დოკუმენტებს უმზადებდნენ, რათა დაფარულიყო გოგონების რეალური ასაკი. ფაქტი თურქული ტელეკომპანიების ეთერშიც მოხვდა.

ინტერნაციონალური დანაშაულებრივი ქსელის გამოვლენის მიზნით სტამბოლის პროკურატურამ გამოძიება თურქეთის ჯანდაცვის დეპარტამენტში შესული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო.

საქმის დეტალები არ საჯაროვდება, თუმცა თურქული მედიის ინფორმაციით, საუბარია სავარაუდო ტრეფიკინგსა და ჩვილებით ვაჭრობის ორგანიზებულ სქემაზე. თურქეთის ჯანდაცვის უწყების ანგარიში უკვე მოხვდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზეც.

პირველ ეტაპზე საქმის მოკვლევა თავად ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო, თუმცა, როგორც თურქული მედია წერს, კარგად ორგანიზებული სქემა, სავარაუდოდ, საერთაშორისო მასშტაბისაა, რის გამოც საქმეში სტამბოლის პროკურატურა ჩაერთო. თურქულ მხარეს სამართლებრივი დახმარების მიზნით საქართველოსთვის ჯერჯერობით არ მოუმართავს.

პროკურატურამ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა

ტყიბულში მომხდარი ჯგუფური მკვლელობის საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ორ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიება დანაშაულში შესაძლო მონაწილე სხვა პირების დადგენისა და დაკავების მიზნით გრძელდება.

– საქართველოს პროკურატურამ ტყიბულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 28 აგვისტოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში ურთიერთშელაპარაკებისას ბრალდებულებმა დანებით მ.მ-ს სხეულის სხვადასხვა არეში ჭრილობები მიაყენეს. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 29 აგვისტოს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში შესაძლო მონაწილე სხვა პირების დადგენის და დაკავების მიზნით, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რიკოთზე სატვირთო მიკროავტობუსისა და ტრაილერის შეჯახების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა

რიკოთზე სატვირთო მიკროავტობუსი და ტრაილერი ერთმანეთს შეეჯახა. ავარიის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ახალციხეში 23 წლის ბიჭი დაჭრეს

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში 23 წლის ბიჭი დაჭრეს და მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს – ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს. გამოცემა წერს, რომ დაჭრილმა მათთან საუბრისას თქვა, რომ სასწრაფოს მოსვლამდე, სამედიცინო დაწესებულებაში პოლიციის თანამშრომელმა წაიყვანა.

გამოცემის ცნობითვე, შემთხვევა სოფელ სხვილისის ცენტრში 29 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით 16:30 საათისთვის მოხდა. თანასოფლელმა ს.ი.-მ შელაპარაკების შემდეგ 23 წლის აკოფ გიჩიან დაჭრა. ამ დროს შემთხვევის ადგილზე პოლიციელიც იმყოფებოდა.

– მე და ალიკა, რომელიც პოლიციაში მუშაობს, ვლაპარაკობდით. ცოტა ხნით გავჩერდი, რადგან ფეხბურთის სათამაშოდ მივდიოდი. ამ დროს მოვიდა ს.ი. და ალიკას დაუწყო გაფრთხილებები. რაღაცებს ეუბნებოდა – ასე გააკეთებ ისე გააკეთებო, ნასვამი იყო. ჯერ ალიკას აფრთხილებდა, მერე მეც დამიწყო – ამას გიზამ იმას გიზავო. მე ვუთხარი, მერა შუაში ვარ საერთოდ-თქო. ალიკამ უთხრა, წადი, მერე მოვალ და ვილაპარაკოთო...

მე წამოვედი, ჯერ მხარზე ხელი დამარტყა, მერე დანის მსგავსი ყელთან. მეც დავარტყი, მერე ისევ დამარტყა ეს დანა, სულ ოთხი ჭრილობა მაქვს. სისხლში ვცურავდი. სასწრაფოში დარეკეს იქ იმდენი რამე იკითხეს ამასობაში ალიკამ თავის მანქანით წამიყვანა საავადმყოფოში, – იხსენებს მომხდარს აკოფ გჩიანი.

თეა წულუკიანმა სასამართლო წააგო

თეა წულუკიანმა კიდევ ერთი სამართლებრივი დავა წააგო. კულტურის მინისტრი ახლა ვალდებულია, სამსახურში ის თანამშრომელი აღადგინოს და კომპენსაციაც გადაუხადოს, რომელიც უწყებიდან პირადი მოსაზრებების გამო გააგდო. სასამართლომ გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა.

დაზარალებული ადვოკატი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მოსამართლემ პირდაპირ ჩაწერა გადაწყვეტილებაში, რომ სამსახურიდან გათავისუფლება უკანონო იყო.

– მოვიგეთ სასამართლო პროცესი, პირი, რომელიც იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან, იყო მაღალი რანგის თანამშრომელი. სასამართლომ პირდაპირი სიტყვებით ჩაწერა გადაწყვეტილებაში, რომ მიღებული გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების შესახებ არ არის კანონიერი და ეს გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კანონს. მოვიგეთ როგორც სამსახურში აღდგენის ნაწილში დავა, ასევე კომპენსაციის ნაწილშიც, – ამბობს დაზარალებულის ადვოკატი. წულუკიანის წინააღმდეგ სასამართლო კიდევ ათობით საქმეს განიხილავს. მინისტრს ყველა მათგანი სამსახურიდან პირადი მოტივებით გათავისუფლებას ედავება.

სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს აღკვეთის ღონისძიებად 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს აღკვეთის ღონისძიებად 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა – პროკურატურა 5 ათასს ითხოვდა. გადაწყვეტილება მოსამართლე სერგო მეთოფიშვილმა მიიღო.

დაცვის მხარე კი მიიჩნევდა, რომ გირაოს მოთხოვნის საფუძველი არ არსებობდა, რადგან არ არსებობს ბრალდებულის მიმალვისა და სხვა სახის დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

შეგახსენებთ, სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს, ალექსანდრე სამხარაძეს ბრალი გუშინ, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის მუხლით წაუყენეს.

სამხარაძის საცხოვრებელ სახლში 16 ივლისს ჩხრეკა ჩატარდა, რის შედეგადაც ამოიღეს ვაზნები. ადვოკატის თქმით, სამხარაძე წარსულში ძალოვანი უწყების თანამშრომელი იყო და საშტატო იარაღიც ჰქონდა, თუმცა უწყებიდან წასვლის შემდეგ იარაღი ჩააბარა, ხოლო ტყვიების ჩაბარება დაავიწყდა, რამაც მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გამოიწვია. ადვოკატის თქმით, სწორედ ეს ტყვიები იპოვეს სამხარაძის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა.

ალექსანდრე სამხარაძე არ გამორიცხავს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით მისთვის შეფარდებული გირაო სამომავლოდ პატიმრობით შეიცვალოს. ამის შესახებ სამხარაძემ ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– ეს შესაძლებელია, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამათ ხელშია ყველაფერი, საგამოძიებო უწყებებიც, შსს და სუს-იც. სხვათა შორის, გუშინაც ველოდებოდი იმას, რომ შესაძლოა, დავეკავებინე, მაგრამ ისე მოხდა, რომ გუშინ გამოვედი ბრალდებულის სტატუსით. დღესაც ველოდებოდი, რომ დამაკავებდნენ, მაგრამ გირაო შემიფარდეს. მოგეხსენებათ, მე ვიყავი სუს-ის თანამშრომელი, მქონდა საშტატო იარაღი. დაცვის წევრები, უბრალო თანამშრომლებიც ყოველთვიურად მივდიოდით და გამოგვქონდა ტყვიები. ზოგს იქვე ვხარჯავდით, ზოგი სავარჯიშოდ იყო განკუთვნილი და ა.შ. ტყვიები სამსახურიდან ბოლოს 2018 წელს გამოვიტანე და მას შემდეგ სახლში მქონდა. როდესაც სამსახურიდან წამოვედი და ჩავაბარე იარაღი, ეს ვაზნები საერთოდ არ გამხსენებია, დამავიწყდა დაბრუნება, – განაცხადა ალექსანდრე სამხარაძემ.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ალექსანდრე სამხარაძეს 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სოსო გოგაშვილის ცოლი: „10 წლის შვილს სპეცრაზმელმა იარაღი მიადო“

სოსო გოგაშვილის ცოლის მორიგი მძიმე ბრალდება სამართალდამცველებს – თია მარტყოფლიშვილის თქმით, იმ ღამეს, როდესაც მის სახლში სპეცრაზმი შევიდა, ერთ-ერთი შეიარაღებული სპეცრაზმელი მის 10 წლის შვილს დაემუქრა. როგორც სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ცოლი ამბობს, ბავშვმა ამის შესახებ მხოლოდ გუშინ თქვა.

გარდა ამისა, მარტყოფლიშვილის თქმით, სპეცოპერაციის ღამეს ადგილზე იმყოფებოდა შს მინისტრის მოადგილე, შალვა ბედოიძე, რომელიც შენიღბული იყო:

– ნელ-ნელა ვაფიქსირებ, ჩემს ოჯახში ვინ იყვნენ და აღვიდგინე. ერთ-ერთი იყო შალვა ბედოიძე, რომელიც დღეს მოქმედი მინისტრის მოადგილეა, წმინდა ვახუშტის. იყო გიორგი ღამბაშიძე, სუს-ის გენინსპექციის უფროსის მოადგილეა.

სპეცოპერაციის დროს, როცა ჩხრეკის განჩინებით შემოვიდნენ, რატომ იყვნენ ამ დროს, ასეთი თანამდებობის პირები ჩემს ოჯახში მოსულები. შენიღბულები იყვნენ. შალვა ბედოიძეს უფრო ღრმად ჰქონდა ამოჭრილი თვალებზე ნიღაბი.

გუშინ, სხვათა შორის, ჩემი პატარა ბიჭი, 10 წლის ბავშვი, მეუბნება, დედა, აქამდე არ მინდოდა ამის თქმაო, მაგრამ მე, როცა საპირფარეშოში მომინდა გასვლაო, შენ ყვირილის ხმა რომ მესმოდა, გამიშვი ხელიო, კარები გამოვაღეო და ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მომიშვირა იარაღიო და ასე მითხრა, არ გამოხვიდე, იცოდე, ხომ იცი, ეს რა მიჭირავს ხელშიო, – თქვა თია მარტყოფლიშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის ფაქტი გამოავლინა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან კოორდინაციით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის ფაქტზე, სამეგრელოს რეგიონში, ერთი პირი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტს ინახავდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯამში, 38.115 ლარის ღირებულების 8.470 კოლოფი უაქციზო სიგარეტია ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახით 6-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა რუსი მოგზაურებისთვის თავიანთ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვას განიხილავენ

პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა აცხადებენ, რომ განიხილავენ რუსი მოგზაურებისთვის თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვის დაწესებას იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი ამას ვერ გააკეთებს.

მედიის ინფორმაციით, რუსეთის მოსაზღვრე ოთხი ქვეყნის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2007 წელს ევროკავშირსა და რუსეთს შორის გაფორმებული სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმების შეჩერება „აუცილებელი პირველი ნაბიჯია“.

– მაგრამ ჩვენ გვჭირდება, მკვეთრად შევზღუდოთ გაცემული ვიზების რაოდენობა, უპირველეს ყოვლისა, ტურისტული ვიზების, რათა შევამციროთ რუსეთის მოქალაქეების ნაკადი ევროკავშირსა და შენგენის ზონაში, – აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, ევროკავშირის ოთხი ქვეყანა ხაზს უსვამს, რომ ეს ნაბიჯი უნდა შეიცავდეს გამონაკლისებს „დისიდენტებისთვის, ისევე, როგორც სხვა ჰუმანიტარული შემთხვევებისთვის“.

– სანამ ასეთი ზომების მიღება ევროკავშირის დონეზე მოხდება, ჩვენ განვიხილავთ ეროვნულ დონეზე ვიზების აკრძალვის დროებითი ზომების შემოღებას ან საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვას რუსეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ევროკავშირის ვიზა აქვთ, – აღნიშნულია განცხადებაში.

საფრანგეთის პრემიერი: „საფრანგეთში ოჯახებს ზამთარში ელექტროენერგია, შესაძლოა, ორი საათით გაეთიშოთ“

„უკრაინაში რუსეთის ომით გამოწვეულმა ენერგეტიკულმა კრიზისმა, შესაძლოა, ყველაზე უარეს შემთხვევაში, გამოიწვიოს ის, რომ საფრანგეთში ოჯახებს ზამთარში ელექტროენერგია მოძრავი გრაფიკით, ორი საათით გაეთიშოთ“, – ამის შესახებ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ელიზაბეტ ბორნმა განაცხადა.

მისი განმარტებით, ეს საკითხი ნაწილობრივ გამოწვეულია ომის შედეგებით, მაგრამ ასევე საფრანგეთის ატომური რეაქტორების დაახლოებით ნახევრის ტექნიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით დაგეგმილი გათიშვის გამო.

– ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლებ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ და შეიძლება, იყოს მომენტები, რომ ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა შეგვექმნას. ასეთ შემთხვევაში გავთიშავთ ელექტროენერგიას ადგილ-ადგილ არაუმეტეს ორი საათის განმავლობაში, – აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპანია „გაზპრომმა“ განაცხადა, რომ ფინანსური დავის გამო ფრანგულ კომპანია Engie-ს გაზის მიწოდებას შეუჩერებს. Engie-ში კი განმარტავენ, რომ მათ უკვე უზრუნველყვეს საკმარისი გაზის მარაგი მომხმარებლების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

უკრაინული ძალების მიერ ლიკვიდირებული რუსეთის ჯარისკაცების რაოდენობა 47.900-მდე გაიზარდა

უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 47.900 ჯარისკაცია ლიკვიდირებული, მათ შორის 350 – ბოლო დღე-ღამის განმავლობაში.

მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპანტების კუთვნილი სხვადასხვა სახის აღჭურვილობაც გაანადგურეს.

– მტრის საერთო დანაკარგი ასევე მოიცავს 1.974 ტანკს, 4.312 ჯავშანმანქანას, 1.091 საარტილერიო სისტემას, 285 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, 152 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 234 თვითმფრინავს, 204 ვერტმფრენს, 3236 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 15 გემს/ნავს, 849 უპილოტო საფრენ აპარატს, 103 ერთეულ სპეცტექნიკას, 196 ფრთოსან რაკეტას, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლიეტუველები გორბაჩოვს არ განადიდებენ

ლიეტუველები არ განადიდებენ გორბაჩოვს. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ უბრალო ფაქტს, რომ მისმა არმიამ მოკლა მშვიდობიანი მოქალაქეები, რათა გაეხანგრძლივებინა მისი რეჟიმის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, – ამის შესახებ ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

– გორბაჩოვის ჯარისკაცებმა ჩვენს უიარაღო მომიტინგეებს ესროლეს და მათ ტანკებით გადაუარეს. ჩვენ ასე გავიხსენებთ მას, – განაცხადა ლანდსბერგისმა.

შეგახსენებთ, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი 91 წლის ასაკში გუშინ გარდაიცვალა.

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრი: „მიხეილ გორბაჩოვი დამნაშავე იყო“

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრ არვიდას ანუსაუსკასის განცხადებით, მიხეილ გორბაჩოვი კრიმინალი და კრიმინალური პარტიის ლიდერი იყო. ამის შესახებ მან Facebook-ზე დაწერა.

– მიუხედავად იმისა, რომ მან ხელი შეუწყო პარტიული მონოლითის გახლეჩას და ლიეტუველებმა და სხვებმა ოსტატურად გამოიყენეს სიტუაცია დამოუკიდებლობის აღსადგენად, ის იყო კრიმინალი დემოკრატიული სახელმწიფოს თვალსაზრისით, რომელმაც ბრძანა ვილნიუსში, თბილისში, ალმათში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში მშვიდობიანი საპროტესტო აქციების სასტიკი ჩახშობა. ასეთი მოგონებები არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მიცვალებულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, მაგრამ არა ამჯერად, – წერს მინისტრი.

მისი თქმით, ერთადერთი დადებითი, რაც გორბაჩოვმა გააკეთა, ის იყო, რომ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის კაპიტულაციას.

– ერთადერთი პლუსი ის არის, რომ მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის კაპიტულაციას, – წერს ანუსაუსკასი.

მსოფლიო ლიდერები მიხეილ გორბაჩოვის გარდაცვალებას ეხმაურებიან



აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი „გამორჩეული ხედვის“ ადამიანი იყო, რომელმაც საკუთარი ქვეყანა რეფორმების გზამდე მიიყვანა.

– ეს იყო იშვიათი ლიდერი, რომელსაც ჰქონდა უნარი დაენახა, რომ განსხვავებული მომავალი იყო შესაძლებელი და ჰქონდა გამბედაობა, რომ გაერისკა მთელი თავისი კარიერა მის მისაღწევად. შედეგი იყო უფრო უსაფრთხო სამყარო და მეტი თავისუფლება მილიონობით ადამიანისთვის, – აღნიშნულია ბაიდენის განცხადებაში, რომელიც მან მიხეილ გორბაჩოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაავრცელა.

მიხეილ გორბაჩოვის გარდაცვალებას ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ის იყო სანდო და პატივცემული ლიდერი.

– მან გადამწყვეტი როლი ითამაშა „ცივი ომის“ დასრულებასა და „რკინის ფარდის“ ჩამოგდებაში. მან გზა გახსნა თავისუფალი ევროპისთვის. ეს მემკვიდრეობა არის ის, რასაც ჩვენ არ დავივიწყებთ, – წერს ევროკომისიის პრეზიდენტი „ტვიტერზე“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა კი გორბაჩოვს უწოდა „მშვიდობის ადამიანი, რომლის არჩევანმა რუსებს გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ“.

„მისმა ერთგულებამ ევროპაში მშვიდობისადმი შეცვალა ჩვენი საერთო ისტორია“, – განაცხადა მაკრონმა.

გაერო-ს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის შეფასებით, გორბაჩოვი იყო „გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც შეცვალა ისტორიის მიმდინარეობა“.

– მსოფლიომ დაკარგა ძლიერი გლობალური ლიდერი და მშვიდობის დაუღალავი დამცველი. ღრმად დამწუხრებული ვარ მისი გარდაცვალების გამო, – დაწერა მან „ტვიტერზე“.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა კი განაცხადა, რომ ის „ყოველთვის აღფრთოვანებული იყო იმ სიმამაცითა და სამართლიანობით, რომელიც მან (მიხეილ გორბაჩოვმა) გამოიჩინა „ცივი ომის“ მშვიდობიანი დასრულების მიზნით“.

შეგახსენებთ, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი 91 წლის ასაკში გუშინ გარდაიცვალა.

ილიას ზუროსი: „გვინდა, ქვეყანა გავახაროთ და საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდეს“

1 სექტემბერს თბილისში ესპანეთისა და ბულგარეთის ნაკრებების მატჩით 2023 წლის ევროპის ჩემპიონატი გაიხსნება. ცხადია, საქართველოს დედაქალაქში ითამაშებს ჩვენი ეროვნული გუნდიც. ამ გუნდების გარდა, ახალ სპორტის სასახლეს თურქეთის, ბელგიისა და ჩერნოგორიის ნაკრებებიც დააჭაშნიკებენ.

მოახლოებული ევრობასკეტის წინ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა პრეს-კონფერენცია გამართა. ბერძენი სპეციალისტი ჟურნალისტების წინაშე გიორგი შერმადინთან ერთად წარდგა, რომელმაც თორნიკე შენგელიას არყოფნაში კაპიტნის სამკლავური გადაიბარა.

ილიას ზუროსი:

– ძალიან გვიხარია, რომ ევრობასკეტის ჯგუფს ვმასპინძლობთ. იმედი გვაქვს, კარგი ტურნირი გამოვა. გვინდა, ქვეყანა გავახაროთ, კარგად ვითამაშოთ, კარგი შედეგი ვაჩვენოთ და საქართველოს ნაკრები შემდეგ ეტაპზე გავიდეს. ყველას წარმატებას ვუსურვებ, კალათბურთელებს კი – ჯანმრთელობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იცით, რომ რამდენიმე დღის წინ კაპიტანი თორნიკე შენგელია გამოგვაკლდა.

კაპიტნის გამოკლება ჩვენთვის ძალიან რთული მომენტი იყო. ბოლო მატჩებში თოკო პარკეტზე 30-ზე მეტ წუთს ატარებდა, მძიმე ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა, ძალიან პროდუქტიული იყო და გუნდს ეხმარებოდა, თუმცა ამ სამწუხარო ფაქტის შემდეგ ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ. ნაკრებში ცინცაძისა და შერმადინის სახით გამოცდილი კალათბურთელები გვყავს, ისინი გუნდს სტიმულს აძლევენ. კარგად გვესმის, რომ დანაკლისი უნდა შევავსოთ, სხვანაირად ვიმუშაოთ, რადგან გასულ შეხვედრებში შენგელიასთან ერთად განსხვავებულად ვმოქმედებდით. იმედი მაქვს, მომავალ თამაშებში ვიპოვით გზებს, თუ როგორ ვითამაშოთ უკეთესად.

ტაქტიკა უკვე შევცვალეთ. შენგელიას სახით გვყავდა ფორვარდი, რომელიც შანსებს როგორც სამწამიანში, ისე მის გარედან ქმნიდა, დრიბლინგითა თუ მაღლებისა და დაბლების შეკავშირებით. მამუკელაშვილთან, ბურჯანაძესთან, ბითაძესა და შერმადინთან ერთად სამწამიანში რომ ძლიერები ვართ, ეს ყველამ იცის. მეტი სამუშაო პერიმეტრზე გვაქვს. წინა მატჩში საკმაოდ კარგად ვიმოქმედეთ. ახლა სხვა თამაში იქნება, ბელგია ძალიან ძლიერი გუნდია, თან საწყისი მატჩი ყოველთვის ძალიან რთულია.

ბითაძეს ჩვენთან ერთად დიდი დრო არ გაუტარებია, რადგან ტრავმა ჰქონდა. მინდა ვუთხრა, რომ მისი ნაკრებში ყოფნა ძალიან გვიხარია. გოგა ძალიან ბევრს ეცადა, გუნდთან ერთად ყოფილიყო.

შეტევაშიც და დაცვაშიც ერთ გუნდად უნდა ვიმუშაოთ. მომეწონა, როგორ ვითამაშეთ იტალიასთან, თუმცა სტაბილურობა გვჭირდება და ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უკეთესი გახდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 7 დღეში 5 მატჩის გამართვა მოგვიწევს, ამიტომ ყველა კალათბურთელი უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოში დაახლოებით 7 წელია ვმუშაობ. ძალიან მიხარია, რომ ეს ქვეყანა ასეთ შეჯიბრებას მასპინძლობს. მოუთმენლად ველოდებით პირ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

შედეგები

30 აგვისტო
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ბრენტფორდი	1:1
ფულემი-ბრაიტონი	2:1
საუთჰემპტონი-ჩელსი	2:1
ლიდსი-ევერტონი	1:1

სატუნირო ცხრილი:

1.არსენალი	4	4	0	0	11-3	12
2.სიტი	4	3	1	0	13-5	10
3.ტოტენჰემი	4	3	1	0	9-3	10
4.ბრაიტონი	5	3	1	1	6-3	10
5.ლიდსი	5	2	2	1	8-5	8
6.ფულემი	5	2	2	1	8-7	8
7.საუთჰემპტონი	5	2	1	2	7-9	7
8.ჩელსი	5	2	1	2	6-8	7
9.ბრენტფორდი	5	1	3	1	10-7	6
10.ნიუკასლი	4	1	3	0	6-4	6
11.მანჩესტერი	4	2	0	2	4-7	6
12.ლივერპული	4	1	2	1	13-5	5
13.კრ.პალასი	5	1	2	2	7-9	5
14.ნოტინგემი	4	1	1	2	2-5	4
15.ევერტონი	5	0	3	2	4-6	3
16.ასტონ ვილა	4	1	0	3	3-7	3
17.ვეტს ჰემი	4	1	0	3	1-5	3
18.ბორნმუთი	4	1	0	3	2-16	3
19.ვულვზი	4	0	2	2	2-4	2
20.ლესტერი	4	0	1	3	6-10	1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნლი-მილუოლი	2:0
ბირმინგემი-ნორვიჩი	1:2
კარდიფი-ლუთონი	1:2
ქპრ-ჰალი	3:1
უიგანი-ვესტ ბრომვიჩი	1:1
შეფილდი-რედინგი	4:0
უოტფორდი-მიდლსბრო	2:1

იტალია. სერია ა

სასუოლო-მილანი	0:0
ინტერი-კრემონეზე	3:1
რომა-მონცა	3:0

სატუნირო ცხრილი:

1.რომა	4	3	1	0	6-1	10
2.ინტერი	4	3	0	1	9-5	9
3.მილანი	4	2	2	0	7-3	8
4.ნაპოლი	3	2	1	0	9-2	7
5.ლაციო	3	2	1	0	5-2	7
6.ატალანტა	3	2	1	0	4-1	7
7.ტორინო	3	2	1	0	4-2	7
8.იუვენტუსი	3	1	2	0	4-1	5
9.ფიორენტინა	3	1	2	0	3-2	5
10.სასუოლო	4	1	2	1	3-5	5
11.სალერნიტანა	3	1	1	1	4-1	4
12.უდინეზე	3	1	1	1	4-5	4
13.სპეცია	3	1	1	1	3-5	4
14.ემპოლი	3	0	2	1	1-2	2
15.ბოლონია	3	0	1	2	2-5	1
16.ვერონა	3	0	1	2	3-7	1
17.ლეჩე	3	0	1	2	2-4	1
18.სამპდორია	3	0	1	2	0-6	1
19.კრემონეზე	4	0	0	4	4-9	0
20.მონცა	4	0	0	4	2-11	0

საფრანგეთი. ლიგა 2

ამიენი-პარიზი	1:1
ბორდო-კენი	4:0
გენგამი-სოშო	1:2
გრენობლი-ნიმი	3:2
დიჟონი-ანსი	0:2
კაენი-პო	1:1
ლავალი-ლე ავრი	1:3
ნორი-ვალანსიენი	0:1
როდეზი-მეცი	1:4

მეცის პირველი და მე-2 გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა

სტ.ეტიენი-ბასტია	5:0

პორტუგალია. პრემიერ ლიგა

ბენფიკა-ფერეირა	3:2
ბოჰემიანსი 1905-ჩესკე	1:2
ზლინი-პარდუბიცე	2:1
იაბლონეცი-სპარტა	1:1

უნგრეთი. ა დივიზიონი

პუშ.აკადემია-მეზეკოვეშდი	1:0
ზალაეგერსეგი-დებრეცენი	4:2

მამაკაცი ცოლს ლატარიაში მოგების თაობაზე ეხუმრა და ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ნიუპორტ-ნიუსის მცხოვრები ცოლს გაეხუმრა, რომ ვითომ ლატარიაში მოიგო და მალე მართლაც მოხსნა ჯეკპოტი.

ჩარლზ სმიტმა განაცხადა, რომ მცირე ხნის წინ მისი მეუღლე სხვა შტატში გაემგზავრა და მან მას უთხრა: „დაგირეკავ, როდესაც ლატარიაში მოვიგებ“. რამდენიმე დღის შემდეგ მამაკაცმა ლატარიის გათამაშებაში მართლაც მოხსნა ჯეკპოტი, მაგრამ ჯერ ვერ დააჯერა ცოლი, რომ ეს ხუმრობა არ იყო.

– რა თქმა უნდა, მან იფიქრა, რომ ვეხუმრებოდი, – განაცხადა მამაკაცმა, რომლის მოგებამ 227 ათასი დოლარი შეადგინა.

სმიტს გამარჯვება მოუტანა რიცხვებმა, რომლებიც მისი ნათესავების დაბადების დღეებს შეესატყვისებოდა. ის მოგებული ფულით ანგარიშების გასტუმრებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდი ტურნირი თბილისში – ევრობასკეტი იწყება

1 სექტემბერს თბილისში ევრობასკეტი იხსნება. საქართველოს ნაკრების გარდა, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში თავს ესპანეთის, თურქეთის, ჩერნოგორიის, ბელგიისა და ბულგარეთის ნაკრებები მოიყრიან.

ეს არის ზედიზედ მეხუთე ევროპირველობა, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდი ითამაშებს. პირველად ევრობასკეტზე 2011 წელს მოხვდით. პირველი ჯგუფური ეტაპი მესამე ადგილით დავძლიეთ, მაგრამ მეორე ეტაპზე ყველა მატჩი წავაგეთ და ტურნირს დავემშვიდობეთ.

2013 წელს ჩვენი გუნდი ევრობასკეტის ჯგუფში ჩარჩა, ხოლო 2015 წელს ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი დააფიქსირა – გავიდა მერვედფინალში, სადაც ლიეტუვასთან დათმო. 2017 წელს ისევ ჯგუფში ჩავრჩით.

ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატი არა ყოველ 2 წელიწადში, არამედ 4 წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა და 2021 წელს ველოდებოდით, თუმცა კორონავირუსის გამო წელს ტარდება.

პირველ და მესამე ევროპირველობებზე საქართველო ჯგუფიდან გავიდა, მეორეში და მეოთხეში – ვერა. აქედან გამომდინარე, მეხუთეში გასვლის დროა და ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს ზედ ევროპირველობის წინ გუნდის ლიდერი და კაპიტანი თორნიკე შენგელია დააკლდა, ილიას ზუროსის გუნდს აქვს პოტენციალი, მერვედფინალში ამჯერადაც ითამაშოს. საამისოდ საჭიროა, 6 გუნდიდან 4 საუკეთესოში მოხვდეს და ამაში საშინაო არენაც უნდა დაეხმაროს.

ესპანეთი და თურქეთი ჯგუფის მთავარი ფავორიტები არიან. ჩვენი გუნდის უშუალო კონკურენტები ჩერნოგორია და ბელგია იქნებიან. ბულგარეთს ყველა აუტსაიდერად მიიჩნევს.

საქართველო რომ ფლეი ოფში გავა, ამას ფიბა-ევროპის ექსპერტებიც ფიქრობენ.

– შენგელიას გამოკლება ქართველებისთვის მართლაც ძალიან დიდი დარტყმაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჯგუფური ეტაპის მატჩები თბილისში იმართება, დიდი უპირატესობაა. დანაკლისის მიუხედავად, გუნდმა ფლეიოფში უნდა ითამაშოს, რაშიც გადამწყვეტი ფაქტორი წინა ხაზი იქნება, – წერია ფიბა-ევროპის ვებგვერდზე.

ჯგუფის მთავარი ფავორიტი ესპანეთის ნაკრებია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს აღარ ჰყავს ძმები გასოლები, აკლია რიკი რუბიო და ევროპირველობის წინ ტრავმის გამო სერხიო ლულიც დაკარგა, მაინც ძლიერი გუნდია, რომლის დამარცხებაც ყველასთვის უპირველესი მიზანი იქნება.

სერჯიო სკარიოლო თბილისში შემდეგი 12 კალათბურთელით მოდის:

ლორენსო ბრაუნი (მაკაბი, ისრაელი), ხაიმე პრადილა, ხაბი ლოპეს-აროსტეგი (ორივე – ვალენსია), რუდი ფერნანდესი (რეალი), ხაიმე ფერნანდესი, დარიო ბრიზუელა, ალბერტო დიაზი (ყველა – უნიკახა), სებას საიზი (ტოკიო, იაპონია), ვილი ერნანგომესი (ნიუ ორლეანი, ნბა), უსმან გარუბა (ჰიუსტონი, ნბა), ხუანჩო ერნანგომესი (იუტა, ნბა), ხოელ პარა (ხუვენტუტი).

ესპანეთის შემდეგ აუცილებლად უნდა დავასახელოთ თურქეთის ნაკრები. ჩვენი აზრით, თურქეთს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავს, ვიდრე ესპანეთს, მაგრამ ფურცელზე უკეთესი ესპანეთია. ერგინ ატამანს ნბა-სა და ევროლიგის კალათბურთელთა მშვენიერი ნაზავი ჰყავს, პლუს, ნატურალიზებული ამერიკელი შეინ ლარკინი.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ თურქეთი მეზობელი ქვეყანაა და დარბაზშიც ბლომად იქნებიან. შესაძლოა, ქართველებზე მეტიც, რადგან, ფასებიდან გამომდინარე, ბევრი ჩვენებური ბილეთს ვერ ყიდულობს.

თურქეთის ნაკრების საევრობასკეტო შემადგენლობა ასეთია:

ალპერენ სენგუნი (ჰიუსტონი, ნბა), ბუგრაჰან თუნჩერი, შეინ ლარკინი, სეჰმუს ჰაზერი, იგიტჩან საიბირი (ყველა ეფესი), ჩედი ოსმანი (კლივლენდი, ნბა), ერკან ოსმანი (ბეშიქთაში), ფურკან კორკმაზი (ფილადელფია, ნბა), მელიჰ მაჰმუტოღლუ (ფენერბაჰჩე), ონურალპ ბიტიმი (ბურსასპორი), სადიკ კაბაჩა (გალათასარაი), სერტაჩ სანლი (ბარსელონა, ესპანეთი).

ამ ორი გუნდის შემდეგ უკვე საქართველო უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებს შენგელია დააკლდებათ და ვერც ამხანაგურ მატჩებში ივარგეს, შინაური კედლები მაინც უნდა დაეხმაროს, რომ ჯგუფიდან მესამე ადგილით გავიდნენ.

იმედს იტალიასთან ნაჩვენები თამაში გვიტოვებს, სადაც ზუროსის გუნდმა მეტოქეს ტოლი არ დაუდო და თანაბრად ეთამაშა. ჩვენი კოზირი ამ ევრობასკეტზე „მაღლებია“ – გიორგი შერმადინი, გოგა ბითაძე, სანდრო მამუკელაშვილი. დანარჩენი დარბაზში გამოჩნდება.

ზუროსის 12-ეული ასე გამოიყურება:

რატი ანდრონიკაშვილი (უგუნდო), სანდრო მამუკელაშვილი (მილუოკი, ნბა), კახა ჯინჭარაძე (ალ კაჰრაბა, ერაყი), ბექა ბურჯანაძე (ბეტისი, ესპანეთი), გიორგი ცინცაძე (მონასტირი, ტუნისი), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი), დუდა სანაძე (ბორაცი, სერბეთი), მიხეილ ბერიშვილი (სპორტინგი, ერაყი), მერაბ ბოქოლიშვილი (რუსთავი), თად მაკფადენი (მურსია, ესპანეთი), ბექა ბექაური (თსუ), გოგა ბითაძე (ინდიანა, ნბა).

მეოთხე ადგილისთვის იბრძოლებენ ბელგია და ჩერნოგორია, რომელიც ევრობასკეტზე რუსეთის ნაცვლად მოხვდა. შემთხვევითი წყალობის მიუხედავად, ჩერნოგორიელებს ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ ჰყავთ და ფლეი ოფში გასვლის პრეტენზიას აცხადებენ.

ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს ჩიკაგო ბულსის 31 წლის ცენტრი ნიკოლა ვუჩევიჩი, რაც უდიდესი დანაკლისია. ჩერნოგორიელთა შემადგენლობაში გამოვყოფთ ნატურალიზებულ ამერიკელ კენდრი პერისა და 30 წლის ცენტრ ბოიან დუბლიევიჩს.

ვნახოთ, რა შემადგენლობით აპირებენ **ჩერნოგორიელები** დასახული მიზნის მიღწევას:

იგორ დრობნიაკი, ალექსა ილიჩი, ზორან ნიკოლიჩი, პეტარ პოპოვიჩი (ყველა ბუდოჩნოსტი), ვლადიმირ მიჰალოვიჩი (მორნარი), ნიკოლა პავლიჩევიჩი (ცენტარი), ზორან ვუჩელიჩი (დერბი), ბოიან დუბლიევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), კენდრიკ პერი (უნიკახა, ესპანეთი), დინო რადონჩიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), ნემანია რადოვიჩი (მურსია, ესპანეთი), მარკო სიმონოვიჩი (ჩიკაგო, ნბა).

ბელგიის ნაკრები საკმაოდ „კერკეტი კაკალია“. გუნდს ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ გუნდთან შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება, თუმცა საპირისპიროც შესაძლებელია – მოსაგები წააგოს. დაბალანსებული, კარგად ნამუშევარი გუნდია ვარსკვლავების გარეშე, თუმცა ჯგუფიდან გასვლაზე პრეტენზიას აცხადებენ.

ბელგია ერთადერთი ნაკრებია, რომელსაც ჯერ საევრობასკეტო 12-ეული არ დაუსახელებია.

ა ჯგუფის აშკარა აუტსაიდერი ბულგარეთის ეროვნული გუნდია, თუმცა ჰყავთ კალათბურთელი, რომელიც, შესაძლოა, ბერლინის ბილეთი გახდეს – ოლიმპიაკოსის ცენტრი ალექსანდარ ვეზენკოვი.

სხვა გამორჩეული და დასამახსოვრებელი კალათბურთელები – ნაკლებად, მაგრამ შეთამაშებული გუნდია, თუმცა დიდ წინააღმდეგობებს მათგან არ ველით.

ბულგარეთის საკალათბურთო ნაკრები:

ალეკსანდარ იანევი, დეიან კარამფილოვი, ჩავდარ კოსტოვი (ყველა რილსკი), ალეკსანდარ ვეზენკოვი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ალეკს სიმეონოვი, ანდრეი ივანოვი (ორივე ცსკა), დიმიტარ დიმიტროვი, პავლინ ივანოვი, სტანიმირ მარინოვი (ყველა ბალკანი), დი ბოსტი (გალათასარაი, თურქეთი), ემილ სტოილოვი (ესტუდიანტესი, ესპანეთი), ივან ალიპიევი (არკადია, ავსტრია).

თბილისის ჯგუფის მატჩების განრიგი ასეთია:

1 სექტემბერი: ესპანეთი-ბულგარეთი (15:30); თურქეთი-ჩერნოგორია (18:15); ბელგია-საქართველო (21:00);

3 სექტემბერი: ჩერნოგორია-ბელგია (15:30); ბულგარეთი-თურქეთი (18:15); საქართველო-ესპანეთი (21:00);

4 სექტემბერი: ბულგარეთი-ჩერნოგორია (15:30); ესპანეთი-ბელგია (18:15); თურქეთი-საქართველო (21:00);

6 სექტემბერი: ბელგია-თურქეთი (15:30); ჩერნოგორია-ესპანეთი (18:15); საქართველო-ბულგარეთი (21:00);

7 სექტემბერი: თურქეთი-ესპანეთი (15:30); ბულგარეთი-ბელგია (18:15); საქართველო-ჩერნოგორია (21:00).

ილიას ზუროსი: „გვინდა, ქვეყანა გავახაროთ და საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდეს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ველ მატჩს. შემიძლია ვთქვა, რომ ამ მომენტზე დიდი ხანია ვოცნებობდით. იმედია, კარგად ვითამაშებთ და შემდეგი რაუნდის სათამაშოდ ბერლინში გავემგზავრებთ. ჩვენი მთავარი მიზანი ეს არის. პირველ რიგში, ხვალინდელ თამაშზე ვფიქრობთ, მაგრამ შესწავლილი გვყავს ფლეი ოფის სავარაუდო მეტოქეებიც. კონკრეტული გეგმა არ გვაქვს – მთავარი მიზანი ბერლინში წასვლა და იქ ბევრი თამაშის ჩატარებაა.

შერმადინმა აღნიშნა, რომ გუნდი საწყის მატჩს კარგი განწყობით ხვდება:

– ბრწყინვალე გრძნობაა, როდესაც ასეთ ტურნირზე შინ ვთამაშობთ, ჩვენს დედაქალაქში, ჩვენს დარბაზში, ჩვენი ხალხის წინაშე. ევრობასკეტის დაწყებას დიდი ხანია ველოდით. მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, თამაშები ჩავატარეთ, ხვალ კი შეჯიბრებაც იწყება.

საწყის მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით. როგორც მწვრთნელმა აღნიშნა, ჩვენ პირველი რაუნდის გადალახვა და ფლეი ოფში გასვლა გვსურს. იმედია, ყველა ჯანმრთელი იქნება და კარგ კალათბურთს ვაჩვენებთ. ამ დონის ტურნირის მასპინძლობა მთელ ქვეყანას ახარებს. იმედია, ხვალ სავსე დარბაზი იქნება. ხალხი დიდი ხანია ამ შეჯიბრების დაწყებას ელოდება. ვფიქრობ, ემოციები არ დაგვაკლდება.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში პირველ მატჩს 1 სექტემბერს, 21:00 საათზე, ბელგიის ნაკრებთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ნადია ართილაყვა-მზარელუას ხსოვნას

ჩვენთვის და ყველასთვის უსაყვარლესო, კეთილშობილო, ჰუმანურო, ინტელიგენტო, გულისხმიერო გამზრდელო ბებია, მუდამ ნათელში გამყოფოს უფალმა მეუღლე ბათუსთან, საყვარელ შვილებთან ლენასა და ბუტუშასთან, უსაყვარლეს შვილიშვილ მერაბთან, რძლებთან ლალასა და ნინასთან და სიძე შურასთან ერთად! ძალიან გვიყვარხართ და გვენატრებით!

შვილიშვილები კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. საპრივატიზაციო პოლისი; 3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. განახლება, სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 14. სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მტერი; 15. სასტუმრო გაგრაში; 16. კავალერიის, ცხენოსანი ჯარის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 21. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 22. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი.

თარაზულად: 1. უბანი თბილისში; 5. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 7. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძიანი ვაზის ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ენამოსწრებული, ხუმარა ადამიანი; 25. იაპონური აბანო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დიუშენი; 2. თამასუქი; 3. კოპალა; 4. უწერა; 5. ჩუღურეთი; 8. ბალატონი; 12. შატო; 13. ენდშპილი; 14. ჭილობი; 16. ლიზინგი; 18. ჰერტა; 20. ტაბუ.

თარაზულად: 6. სიმეტრია; 7. ჩხოროწყუ; 8. ბაზაძე; 9. გენუა; 10. მუკუზანი; 11. ალაშვილი; 15. ინსინუაცია; 17. ლორენი; 19. ბაქტრიანი; 21. ლინდერი; 22. სიკოფანტი; 23. ლუქსორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ნეირატი; 3. ლუიზიანა; 4. ავანტიურა; 5. ვაიდა; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. ჟურფიქსი; 16. ჰუმანიზმი; 17. კურტუა; 19. ინვაზია; 21. ჭიუხი; 22. ჩორდი.

თარაზულად: 1. ენოლოგია; 5. ვეძა; 7. ჯოყოლა; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაუთა; 12. ათანელი; 13. ჰაუბიცა; 16. ჰოროლულუ; 17. კანა; 18. ვიშნუ; 20. აქსაკალი; 22. ჩაქვი; 23. ზანდური; 24. ზვირთი; 25. ხურმა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9002

ევრო — 2.8935

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3697

100 რუსული რუბლი — 4.7912

ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისთვის



ტომას ტუხელი: „ჩელსის საუკეთესო პერიოდი არ აქვს“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა საუთჰემპტონთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს ამჟამად საუკეთესო პერიოდი არ აქვს, მაგრამ შესაძლოა ეს მალე დასრულდეს, თუ ფეხბურთელები ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯებიან: „საუთჰემპტონთან ცუდი შეხვედრა ჩავატარეთ და ეს უნდა ვაღიაროთ. ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მომიწევს იმისთვის, რომ რეალობა გაითავისონ“.

დემბელე: „ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ“

ბარსელონის ფორვარდმა უსმან დემბელემ საკუთარ ფორმაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის მშვენიერ ფორმაშია და მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს, თუმცა ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მან ტრავმები აირიდა: „ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ და კარგად მესმის, რომ ჩემზე დიდი პასუხისმგებლობაა და გულშემატკივარს იმედი არ უნდა გავუცრუო. იმედი მაქვს, ასეც მოხდება“.

ნეიმარი: „პსჟ-ს დიდი პოტენციალი აქვს“

პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა საკუთარ კლუბზე ისაუბრა და თქვა, რომ მას დიდი მომავალი აქვს, თუ ისინი თავიანთ პოტენციალს ბოლომდე გამოიყენებენ: „მინდა, რომ პსჟ-მ თავისი პოტენციალი ყველას აჩვენოს. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ამის გაკეთება, რადგან პსჟ-ში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს. თუ კონცენტრირებას მოვახერხებთ, წინ ვერაფერი დაგვიდგება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მასწავლებელი კლასს მიმართავს:

– ვინც ფიქრობს, რომ სულელია, ფეხზე ადგეს!

კლასში სიჩუმეა და უცბად ფეხზე გიგი წამოდგება.

– რა, გიგი, თავს სულელად თვლი?

– არა, უბრალოდ, არ მომეწონა, ფეხზე მხოლოდ თქვენ რომ იდექით...

●●●

საწარმოში შემოწმებაზე მისული კომისიის ხელმძღვანელი დირექტორს ეუბნება:

– ეს რა საგიჟეთია თქვენთან!

– ქალაქში საუკეთესო!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– შეიძლება კინოში დაგპატიჟოთ?

– და მალდივის რას უწუნებთ?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წუხელის ვერ გამოვიძინე.

– მიზეზი?

– მიზეზი იგივეა, ვერ გამოვიძინე...

●●●

შვილიშვილი პაპას ეუბნება:

– პაპა, შენ ძალიან ზრდილობიანი ხარ. როდესაც ახვევ, პირზე ყოველთვის ხელს იფარებ.

– რა თქმა უნდა, შვილო, თორემ სხვაგვარად კბილების პროთეზი ხომ გადმომივარდება...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ თათარაშვილს ახალი ბრალდება წაუყენეს

მომღერალი თემურ თათარაშვილი აცხადებს, რომ მას ერთმა შეუმდგარმა არსებამ ახალი ბრალდება წაუყენა:

– ახალი ბრალდება წამიყენა ერთმა ბოროტმა და შეუმდგარმა არსებამ – თურმე სიდედრის წართმეულ ქონებით ვცხოვრობ!

გაგა ჩხეიძე: „სილქნეტს“ ვთხოვ, 200 რუსულ არხს ნუ იყიდის!“

ამ საჯარო განცხადებით მიმართავს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელი გაგა ჩხეიძე კომპანია „სილქნეტს“:

– „სილქნეტს“ ვთხოვ, 200 რუსულ არხს ნუ იყიდის და მაგ ფულით ერთი კარგი კინოარხი გააკეთოს, ფილმებიც ქართულად თარგმნოს. ამაზე კარგს ვერაფერს იზამს. „კავეასაც“ ჯანსაღი კონკურენტი ეყოლება.

„დუტაფორია“ — დუტა სხირტლაძის ახალი გადაცემა

მსახიობი დუტა სხირტლაძე ახალ პროექტს იწყებს და მას მაყურებელი ძალიან მალე იხილავს.

„დუტაფორია“ – ასე ეწოდება მის ახალ ჩანაფიქრს, რომლის ფარგლებშიც დუტა აშენებს სახელოსნოს, რომელშიც შემდგომ სხვადასხვა ნივთს დაამზადებს და თავისი კიდევ ერთი ნიჭის შესახებ ათასობით გულშემატკივარს მიაწვდის ინფორმაციას.

ანსამბლი „რუსთავი“ ბელგიაში მიიწვიეს

ანსამბლი „რუსთავი“ ბელგიაში საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს.

ქართველმა მომღერლებმა ბელგიის სამეფოში ჩატარებულ კონცერტზე მისული მსმენელი აღაფრთოვანეს. საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დასრულების აღსანიშნავ წვეულებაზე „რუსთავმა“ ექსპრომტად „მრავალჟამიერი“ იმღერა და სტუმრების ხანგრძლივი ოვაციები და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

დათო ოქიტაშვილი: „გალკინი საქართველოში მე არ ჩამომყავს!“

საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელი დათო ოქიტაშვილი აცხადებს, რომ მაქსიმ გალკინი საქართველოში მას არ ჩამოჰყავს:

– დაირხა ხმა და მოჰყვა ერთი ამბავი – ათმა კაცმა დამირეკა. მირეკავენ და ჯვარედინ დაკითხვას მიწყობენ. პირდაპირ ვამბობ, გალკინი საქართველოში მე არ ჩამომყავს და არც ძმანი და დანი მისნი. მიუხედავად ალა პუგაჩოვასთან ჩემი მეგობრობისა, გალკინის ჩამოსვლა არ უკავშირდება დათო ოქიტაშვილის სახელს არც პირდაპირ, არც ირიბად.

დაიხსომეთ, მანქურთებო, დათო ოქიტაშვილმა იცის, რას, რატომ და რა ვითარებაში აკეთებს ან არ აკეთებს, ვინ როდის უნდა ჩამოიყვანოს ან არ ჩამოიყვანოს.

ასე რომ, კიდევ ერთხელ ჩაგივარდათ კოეზი ნაცარში ბინძური პიარის ასაგორებლად და კიდევ ბევრჯერ ჩაგივარდებათ. ასე გააგრძელეთ! ვაფრენ მე თქვენზე!

წინანდლის ფესტივალი მსოფლიო ვარსკვლავებს უმასპინძლებს

2 სექტემბერს წინანდლის ფესტივალი მეოთხედ გაიხსნება და მსოფლიოში ცნობილ ვარსკვლავებს უმასპინძლებს.

კლასიკური მუსიკის მოყვარულებს წინანდლის ფესტივალი აძლევს საშუალებას, 10-დღიანი მუსიკალური პროგრამით 19 კონცერტს დაესწრონ.

ფესტივალის პროგრამის ფარგლებში, ცნობილი შემსრულებლების გვერდით, პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი მსმენელის წინაშე 4 კონცერტით წარდგება. პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრის, როგორც ახალგაზრდებს შორის შემოქმედებითი დიალოგისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელის შენარჩუნებისა და მდგრადობისათვის წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ პირველად იზრუნა და 900.000 ლარი გამოყო. პირველ საფესტივალო დღეს მაყურებლის წინაშე სწორედ პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი წარდგება თანამედროვე ახალგაზრდა ვარსკვლავ მაო ფუჯიტასთან ერთად. კონცერტს უკრაინელი მუსიკოსი ოკსანა ლინივი უდირიჟორებს. მუსიკალური დირექტორი ჯანანდრეა ნოზედაა. პროგრამა უკრაინელი კომპოზიტორის ბოჰდანა ფლორიაკის ნაწარმოებით გაიხსნება, ასევე, შესრულდება იოჰანეს ბრამსის პირველი საფორტეპიანო კონცერტი და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია.

80-წევრიანი პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრის შემადგენლობაში არიან ჟიურის მიერ წინასწარი მოსმენების შედეგად შერჩეული 6 მეზობელი ქვეყნის მუსიკოსები. ორკესტრის 50% დაკომპლექტებულია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა მუსიკოსებით, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მუსიკოსების განათლებას, პროფესიულ განვითარებასა თუ კარიერულ წინსვლას.

ამასთან, ქართველ მსმენელს საშუალება ექნება, ეზიაროს კლასიკური მუსიკის წამყვანი სოლისტებისა და დირიჟორების შესრულებას. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ საფორტეპიანო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები სანდრო ნებიერიძე და გიორგი გიგაშვილი, რომლებიც ევროპის წამყვან სამუსიკო უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ განათლებას.

წინანდლის ფესტივალის სტუმრები არიან დირიჟორების ვარსკვლავური შემადგენლობა – ოქსანა ლინივ, ჩარლზ დუტუა, პაბლო ჰერას-კასადო და ვასილი პეტრენკო, ასევე, ვირტუოზი სოლისტები – ქრისტოფ ბარატი, რენო კაპუსონი, დავიდ აარონ კარპენტერი, სეონგ-ჯინ ჩო, ალექსანდრა კონუნოვა, ლუკას დებარგი, ჯილ დორ, ვილდე ფრანგ, მაო ფუჯიტა, გიორგი გიგაშვილი, დენის კოჟუხინი, ლი ლა, ოქსანა ლინივ, სანდრო ნებიერიძე, ნოა (აჩინოამ ნინი), ჯულიენ ქუენთინ, კიან სოლტანი, პანკავკასიური ახალგზარდული ორკესტრი და გაბრიაძის თეატრი.

ფესტივალის პროგრამაშია ბრამსის, ბეთჰოვენის, სტრავინსკის, შენგის, რახმანინოვის, ჰენდელის, შუმანის, შუბერტის, მოცარტის, ბახის, იანაჩეკის, ბარტოკის, სენ-სანსის, რაველის, დვორჟაკის, პროკოფიევის, პიაცოლას, ვიეტას, მენდელსონის, ჩაიკოვსკის, ენესკუს, გრიგის, ბრუხის, დებიუსის, შნიტკეს, შოსტაკოვიჩის, ალკანის საუკეთესო ნაწარმოებები.

წინანდლის ფესტივალის ყოველი დღის ბოლოს გაიმართება ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების საღამოები: 2 და 3 სექტემბერს მსმენელის წინაშე წარდგებიან ლიზა კერესელიძე და ლუკა თოფურია, 4 და 5 სექტემბერს – პაპუნა შარიქაძე და სოფო ბათილაშვილი, 6 სექტემბერს – „სუხიშვილები“ – სუხიშვილების პერფორმანსით, 8 და 9 სექტემბერს – სანდრო ნებიერიძე და ლიზა რამიშვილი, 10 და 11 სექტემბერს – გიორგი გიგაშვილი და კატო კვარაცხელია. საღამოები ჩატარდება რადისონ ქოლექშენის მთავარ მოედანზე. დასწრება შეაძლებელი იქნება ფესტივალის ყველა სტუმრისთვის, რომელთაც შეძენილი აქვთ ფესტივალის იმავე საღამოს ბილეთი ან სასტუმროს ნაკრები.

წინანდლის კლასიკური მუსიკის ფესტივალი 2019 წელს კომპანია „სილქნეტის“ მხარდაჭერით წინანდლის ისტორიული მამულის წიაღში დაფუძნდა. გლობალური პანდემიის მიუხედავად, ფესტივალი ყოველი წლის სექტემბერში საქართველოს ულამაზეს რეგიონში, ღვინის სამშობლოში, წინანდალში იმართება.

მდიდარი საფესტივალო პროგრამის შედგენა ფესტივალის თანადამფუძნებლების ავი შოშანისა და მარტინ ენგსტროემის დამსახურებაა, რომლებიც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ვერბიეს კლასიკური მუსიკის ფესტივალის დამფუძნებლები არიან. ფესტივალის გენერალური დირექტორი რეჟისორი დავით საყვარელიძეა.

წინანდლის ფესტივალი 11 სექტემბერს დაიხურება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 სექტემბრისთვის

ვერძი – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 5. პარლამენტის წევრი; 8. ფასიანი ქაღალდების კურსის დადგენა ბირჟაზე; 12. კლდის ნაპრალებში ბინადარი ერთგვარი ხვლიკი; 13. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 14. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, აყიროსგან დამზადებული გრძელტარიანი ჭურჭელი; 16. ნიადაგში ჩარჭობილი, ნაგებობის საყრდენი ბოძი; 18. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 20. იაპონური ბრინჯის არაყი.

თარაზულად: 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 7. ქალაქი მესხეთში; 8. მთვარიანი ღამე; 9. იაპონელი მოდელიერი; 10. ბერძენი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. ქართველი მხატვარი მამაკაცი; 15. გერმანული ლუდი; 17. მწყრის მართვე; 19. გერმანული ავტომობილი; 21. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 22. ვაჟა-ფშაველას პოემა; 23. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მონაკოელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა